დავით ჩიქოვანი
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასანიდების რელიგიური პოლიტიკა 226-420 წლებში და ქართლის (იბერიის) ეკლესია

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სასანიანების რელიგიური პოლიტიკა როგორც საკუთრივ ირანში, ისე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, რომელსაც ირანისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მართალია, პირველი სასანიანები ქრისტიანთა (ისევე, როგორც სხვა რელიგიური უმცირესობების) მიმართ შემწყნარებლურ პოლიტიკას ატარებდნენ, მაგრამ რომის იმპერიის რელიგიური პოლიტიკის ცვლილებისა და სამხრეთ კავკასიის გაქრისტიანების შემდეგ სასანიანებმა შეცვალეს ქრისტიანთა მიმართ დამოკიდებულება.

დაპყრობილი ტერიტორიების საბოლოო ირანიზაციისთვის სასანიდები ცდილობდნენ იქ ზოროასტრიზმის დამკვიდრებას და ქრისტიანობის ამოძირკვას, მაგრამ როდესაც ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ, შეცვალეს პოლიტიკა და მათთვის თავისუფლების მინიჭების სანაცვლოდ მათი გაკონტროლება სცადეს. დამორჩილებული სამხრეთ კავკასიის ეკლესიები აიძულეს იერარქიული კავშირი გაეწყვიტათ რომის იმპერიის ეკლესიებთან, ღვთისმსახურებიდან განდევნეს ბერძნული ენა, საბოლოოდ დამორჩილების მიზნით კი სამხრეთ კავკასიის ეკლესიები ირანში არსებული აღმოსავლეთის ეკლესიის მეთაურს დაუქვემდებარეს, რომელსაც ირანის შაჰი ნიშნავდა.

სტატიაში პირველადი წყაროებისა და თანამედროვე ისტორიოგრაფიის შუქზე ვრცლად არის განხილული სასანიანი შაჰების რელიგიური პოლიტიკა და ამისგან გამოწვეული ვითარება ქართლის ეკლესიაში.

საკვანძო სიტყვები: *სასანიდები, რელიგიური პოლიტიკა, ზოროასტრიზმი, აღმოსავლეთის ეკლესია, ქართლის ეკლესია.*

224 წლის 28 აპრილს ფარსის მეფე არდაშირმა (211/2-224) ჰორმიზდაგანის ველზე დაამარცხა პართიის მეფე არტაბან IV (213-224). არტაბანი ბრძოლაში დაეცა. 226 წელს არდაშირმა პართიის იმპერიის დედაქალაქი ქტეზიფონიც აიღო, სადაც შედგა მისი კორონაცია.[1]

სასანიანთა ხელისუფლებაში მოსვლის დრისთვის ყოფილი პართიის იმპერიის ტერიტორიაზე ქრისტიანობა უკვე ფართოდ იყო გავრცელებული, სადაც „არბელას ქრონიკის“ ცნობით, ამ დროს *„20 ეპისკოპოსზე მეტი იყო: ბეთ ზაბდაიში,*

[1] Touraj Daryaee, “Ardashir and the Sasanian's Rise to Power,” Anabasis: Studia Classica et Orientalia 1 (2010): 251-252.

ბეთ სელოკის კარკაში, კაშკერში, ბეთ ლაპატში, ჰორმიზდ-არდაშირში, ფერათ მაიშანში, ჰანიტაში, ჰარბაგელალში, არზონში, ბეთ ნიკატორში, ბეთ შერქარდში, ბეთ მეშკენეში, ჰულვანში, ბეთ ყატარში, ბეთ ჰაზაიეში, ბეთ დაილომაიეში, შიგარში და სხვა დანარჩენ ქალაქებში.“[2]

არდაშირს ძალიან კარგად ესმოდა რელიგიის მნიშვნელობა სახელმწიფოსთვის, ამიტომაც არიგებდა ტახტის მემკვიდრე შაბურს ამგვარად: *„შვილო, რელიგია და სამეფო ხელისუფლება ძმები არიან. ტახტის მპყრობელს არ შეუძლია იმოქმედოს მათ გარეშე, რადგანაც რელიგია არის სამეფო ხელისუფლების საფუძველი, ხოლო სამეფო ხელისუფლება არის რელიგიის მცველი. სამეფო საფუძვლის გარეშე დაცემისთვის და მცველის გარეშე დაღუპვისთვის არის განწირული.“*[3]

არდაშირმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე თავის იდეოლოგიურ საფუძვლად ირანის ძველი რელიგია - ზოროასტრიზმი გაიხადა, რომლის მიმდევარიც თავად იყო და დაიწყო მის საბრძანებელში ამ რელიგიის გავრცელებისთვის ზრუნვა. „არბელას ქრონიკის“ ცნობით, სასანიანთა მმართველობის დაწყებისას ქრისტიანებს ეშინოდათ მათი მხრიდან დევნის, მაგრამ ეს შიში არ გამართლდა და *„სპარსელთა მეფობის დასაწყისში ქრისტიანებისთვის მშვიდობა იყო, მათ შეძლეს აღორძინება და გამრავლება.“*[4]

მართალია, შაბურ I (241-270) მხარს უჭერდა ზოროასტრიზმის გავრცელებას, მაგრამ ამავე დროს თავიანთი სარწმუნოების თავისუფლად გამოხატვის უფლება მისცა ებრაელებს, ქრისტიანებს, ბუდისტებსა და ჰინდუსებს.[5] შაბურის რელიგიურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო იმპერიაში ქრისტიანობის კიდევ უფრო გავრცელებას. სწორედ მის დროს იმპერიის დედაქალაქ ქტეზიფონში მცხოვრებ ქრისტიანებს მღვდელი დაუდგინა არბელას ეპისკოპოსმა შაჰლუფამ (258-273).[6] სპარსეთში ქრისტიანთა რიცხვის ზრდას და შესაბამისად, ქრისტიანობის გავრცელებას ხელს უწყობდა შაბურის გამარჯვებები რომაელებთან ომებში, რის შედეგადაც დატყვევებულ ადამიანებს შაბური იმპერიაში ასახლებდა, რომელთა შორისაც მრავლად იყვნენ ქრისტიანებიც. შედეგად „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, *„ქრისტიანები გამრავლდნენ სპარსეთში და ააშენეს ეკლესია-მონასტრები.“*[7]

მართალია, „არბელას ქრონიკა“ ქრისტიანთა მიმართ პირველი სასანიდების შემწყნარებლობას იმით ხსნის, რომ: *„მეფეები დაღლილი და დატანჯული იყვნენ ყოველდღიური ომებით“*[8], მაგრამ, როგორც სამართლიანად არის შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, პირველი სასანიდი შაჰების ტოლერანტობა იმპერიაში გავრცელებული სხვადასხვა რელიგიისადმი, და მათ შორის

---

[2] MSIHA-ZKHA, texte et traduction Par Alphonse Mingana. Sources Syriaques, vol. 1. (Leipzig: Otto Harrassowitz, 1907). 107-108.

[3] Muhammet Yücel, “Religion, Conflict and Continuity in the Early Sasanian Period,” HISTORIA I ŚWIAT N 10 (2021): 24.

[4] MSIHA-ZKHA, 107.

[5] Mehrdad Kia. The Persian Empire: A Historical Encyclopedia [2 volume]: A Historical Encyclopedia, (ABC-CLIO, 2016): 234.

[6] MSIHA-ZKHA, 112.

[7] Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. publiée par Addaï Scher . Graffin, R – Nau, F. Patrologia Orientalis. T. 4. (Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs, 1908): 221.

[8] MSIHA-ZKHA, 107.

ქრისტიანობისადმი, იმით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რომ ირანის დასავლეთ ოლქებსა და მათ მეზობელ მხარეებში ზოროასტრიზმი არ იყო პოპულარული. სწორედ ამის გამო პირველ სასანიდებს უკიდურესი ზომები არ მიუღიათ, რათა რელიგიური შუღლი არ გაემწვავებინათ.

ამავე დროს, სწორედ შაბურ I-ის დაპყრობების შემდეგ წარმოიშვა სასანიდების წინაშე ახალი ამოცანა - დაპყრობილი ტერიტორიების ირანიზაცია, რომელშიც მნიშვნელოვანი როლი სწორედ სპარსული რელიგიის - ზოროასტრიზმის გავრცელება-დამკვიდრებას უნდა შეესრულებინა. მართლაც, „ზოროასტრის ქააბას“ წარწერის მიხედვით, შაბურის მიერ დაპყრობილ „არაირანული ქვეყნებში“ სირიაში, კილიკიაში, კაბადოკიაში, სომხეთში, ქართლსა და ალბანეთში ზოროასტრიზმის ქურუმ კარტირს მოგვები განუმწესებია და ცეცხლის ტაძრები მოუწყვია.[9]

მაგრამ ამ დროს ზოროსტრიზმი, როგორც კანონიზირებული რელიგიური სისტემა, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. ამიტომაც სასანიდების წინაშე დაისვა ზოროასტრიზმის კოდიფიკაციისა და მისი მწყობრ, მტკიცე რელიგიურ სისტემად ჩამოყალიბების ამოცანა.[10]

ეს ამოცანა განახორციელა ზოროასტრელმა უმაღლესმა ქურუმმა კარტირმა. 271 წელს იგი ტახტზე ასვლაში დაეხმარა შაბურ I-ის შვილ ბაჰრამ I-ს (271-274), რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შაბურის უფროსი შვილი იყო, ტახტზე ასვლის კანდიდატად არ განიხილებოდა, რისი მიზეზიც სავარაუდოდ მისი დედის დაბალი სოციალური წარმომავლობა უნდა ყოფილიყო.[11] ამის შემდეგ სახელმწიფოში გაიზარდა კარტირის გავლენა და ზოროასტრული სამღვდელოების ავტორიტეტი, რასაც შედეგად მოჰყვა სახელმწიფოში გავრცელებული სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების დევნა. სწორედ მან და სხვა ზოროასტრელმა სამღვდელოებამ 274 წელს ბაჰრამ I-ს სიკვდილით დაასჯევინეს მანიქეიზმის ფუძემდებელი მანი, რასაც მოჰყვა მისი მიმდევრების დევნაც.[12]

რაც შეეხება ქრისტიანობას, „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, ბაჰრამ I *„კეთილგანწყობილი იყო ქრისტიანთა მიმართ.“*[13]

სავარაუდოდ, კარტირივე უნდა დახმარებოდა ტახტზე ასვლაში ბაჰრამ II-საც (274-293).[14] სწორედ ბაჰრამ II-ის მეფობაში მიაღწია კარტირის კარიერამ უმაღლეს მწვერვალს.

---

[9] Martin Sprengling, Third Century Iran: Sapor and Kartir (Chicago: University of Chicago, 1953), 51-52.

[10] ნოდარ ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. (თბილისი: მეცნიერება, 1975), 86.

[11] Richard N. Frye. „The political history of Iran under the Sasanians“. In The Cambridge History of Iran, Volume 3(1): The Seleucid, Parthian and Sasanian Periods. Ed. Ehsan Yarshater, (Cambridge: Cambridge University Press, 1983), 127.

[12] Kia, The Persian Empire, 234.

[13] Histoire Nestorienne, 1, 233; François Decret, “Les conséquences sur le christianisme en Perse de l’affrontement des empires romain et sassanide: De Shâpûr I à Yazdgard I,” Recherches augustiniennes 14 (1979): 125.

[14] Touraj Daryaee and Khodadad Rezakhani, “The Sasanian Empire”. In: King of the Seven Climes: A History of the Ancient Iranian World (3000 BCE – 651 CE). Edited by Daryaee, Touraj. (UCI Jordan Center for Persian Studies, 2017), 157.

ბაჰრამ I-ისა და ბაჰრამ II-ის მფარველობით და კარტირის ხელმძღვანელობით ზოროასტრიზმი იქცა სასანიანთა იმპერიის სახელმწიფო რელიგიად.[15] ითვლება, რომ ბაჰრამ II-მდე სასანიანი მეფეები „ნელთბილი ზოროასტრელები“ იყვნენ. სწორედ მის მეფობაშია შესრულებული „ზოროასტრის ქააბაზე“ ამოკვეთილი კარტირის წარწერა, რომლის მიხედვითაც, *„მთელი სახელმწიფოს ყველა პროვინციასა და ადგილში ორმიზდისა და იაზატის მსახურება ამაღლდა. მაზდეანურმა სარწმუნოებამ და მისმა სამღვდელოებამ მიიღო [მთელ] ქვეყანაში დიდი პატივი... იუდეველები, ბუდისტები, ბრაჰმანები, ნაზარეველები, ქრისტიანები და მანიქეველები განადგურებულ იქმნენ სახელმწიფოში.“*[16] მაშასადამე, წარწერა მოგვითხრობს სასანიანთა იმპერიაში არსებული რელიგიური მიმდინარეობების დევნა-შევიწროვებაზე.

უკანასკნელ ხანებში კარტირის წარწერის ცნობის რელურობა ეჭქვეშ დააყენა ისტორიკოსმა რიჩარდ პეინიმ (Richard Payne), იგი შენიშნავს, რომ „მისი (კარტირის - დ.ჩ.) მოღვაწეობის პერიოდში ქრისტიანთა და იუდეველთა წინააღმდეგ მოქმედების შესახებ არ არსებობს დამაჯერებელი მტკიცებულება.“[17]

მაგრამ ბაჰრამ II-ის დროს ქრისტიანთა დევნის შესახებ სხვა წყაროებიც მოგვითხრობენ, კერძოდ, „კანდიდას მარტვილობა“, რომლის მიხედვითაც, *„პირველი დევნა, რომელიც სპარსელთა ქვეყანაში მოხდა იესო ქრისტეს სწავლების გამო, ვარათრანის, შაბურის პაპის, სპარსეთის მეფეთა მეფის დღეებში.“*[18] მართალია, მარტვილობა არ აზუსტებს ბაჰრამის ვინაობას, მაგრამ, რაკიღა მას „სიირთის ქრონიკა“ ბაჰრამ II-სთან აიგივებს, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ეს გაიგივება მიღებულია.[19]

„სიირთის ქრონიკის“ ცნობით, როდესაც ბაჰრამმა დაინახა, რომ *„მანიქეველები საკუთარ თავს ქრისტიანებს უწოდებდნენ, იმოსებოდნენ მათ მსგავსად და უარყოფდნენ ქორწინებასა და ოჯახს, როგორც მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები... ჩათვალა, რომ ეს ორი რელიგია იყო თანხმობაში. ამგვარად მან ბრძანა მანიქეველების დახოცვა და მათი ეკლესიების დანგრევა, მაშინ მოგვები განურჩევლად დევნიდნენ ქრისტიანებს.“*[20]

„სიირთის ქრონიკა“, ისევე როგორც „კანდიდას მარტვილობა“, ქრისტიანთა პირველ დევნას შეწირულებს შორის ასახელებს თავად ბაჰრამ II-ის მეუღლეს, კანდიდას.[21]

„სიირთის ქრონიკისვე“ ცნობით, ქრისტიანებმა ბაჰრამს აუხსნეს ქრისტიანობასა და მანიქეველობას შორის განსხვავება, რის შემდეგაც მეფემ

---

[15] Alan Bowman, The Cambridge Ancient History, The Cambridge Ancient History. Volume 12: The Crisis of Empire, AD 193-337, 2nd edition. Edited by Alan Bowman, (Brasenose College, Oxford, Averil Cameron, Keble College, Oxford, Peter Garnsey, University of Cambridge. Cambridge University Press, 2008), 474.

[16] A. V. Williams, “Zoroastrians and Christians in Sasanian Iran”, Bulletin of the John Rylands Library Manchester, vol. 78, no. 3 (1996): 39.

[17] Richard E. Payne, A State of Mixture: Christians, Zoroastrians, and Iranian Political Culture in Late Antiquity (University of California Press, 2015): 24.

[18] Sebastian Brock, “A Martyr at the Sasanid Court under Vahran II: Candida”, Analecta Bollandiana ; Volume 96 (1978): 178.

[19] Brock, “A Martyr: Candida”, 168; Justin David Strong, “Candida: An Ante-Nicene Martyr in Persia”, Journal of Early Christian Studies, Vol. 23 Strong, (2015): 395.

[20] Histoire Nestorienne, 1, 237-238; Decret, “De Shâpûr I à Yazdgard I”, 127.

[21] Brock, “A Martyr: Candida”, 178; Histoire Nestorienne, 1, 238.

„ბრძანა მათი დევნის შეწყვეტა.“[22] ხოლო „არბელას ქრონიკის“ ცნობით, დედაქალაქის ქრისტიანებს მოუსყიდიათ ერთ-ერთი წარჩინებული, რომლის ჩარევითაც მეფემ ქრისტიანთა დევნა შეწყვიტა.[23]

ფრანსუა დეკრეს (François Decret) აზრით, ბაჰრამ მეორის მიერ ქრისტიანთა დევნის დაწყებასა და შემდეგ შეწყვეტას, წყაროთა ჩვენებისგან განსხვავებული, პოლიტიკური მოტივები უნდა ჰქონოდა საფუძვლად. მას მიაჩნდა, რომ რომაელთა შეტევებისგან კრიზისში მყოფ იმპერიაში ეროვნული ერთიანობის აღსადგენად ბაჰრამ II-მ მიზანშეწონილად მიიჩნია, მიემართა ტრადიციული რელიგიური ძალებისთვის და შესაბამისად, მაზდეანებისთვის. ამ ძალების მისი ძალაუფლების გარშემო გასაერთიანებლად მას მოუწია დათანხმებოდა ამბიციური კარტირის რეპრესიების პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო „ოფიციალური ეკლესიის“ - მაზდეანობის კონკურენტი რელიგიებისა და სექტების წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გათვლა ამაო აღმოჩნდა და ბაჰრამი მიხვდა რეალური პოლიტიკური პრობლემების არსს, რომლებსაც იგი აწყდებოდა, და რომელთა გადაწყვეტა რელიგიათა დისკრიმინაციით ვერ მოახერხა.[24]

ბაჰრამ II-ის მეფობის ბოლო წლებში სასანიდური ირანის დედაქალაქში, სელევკია-ქტეზიფონში, დაარსდა საეპისკოპოსო კათედრა, რომლის ეპისკოპოსი გახდა პაპა ბარ აგაი.[25]

293 წელს, ბაჰრამ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ბაჰრამ III ავიდა (4 თვით). „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, *„იგი კეთილგანწყობილი იყო ქრისტიანთა მიმართ და ბრძანა მამამისის მიერ მანიქეველების მიზეზით დანგრეული ეკლესიების აღდგენა.“*[26]

ქრისტიანთა მიმართ შემწყნარებლობით გამოირჩეოდა შაჰი ნარსეც (293-302). „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, *„მისი მეფობის განმავლობაში ქრისტიანები არ იდევნებოდნენ.“*[27]

ასევე გაგრძელდა შაჰ ჰორმიზდ II-ის (302-309) მეფობაშიც. რომელიც, სიირთის ქრონიკის“ ცნობით, *„დამოუკიდებლად მართავდა [სახელმწიფოს] და ქურუმებს არ უსმენდა. მისი 7-წლიანი და რამდენიმე დღიანი მეფობის განმავლობაში ქრისტიანები არ იდევნებოდნენ.“*[28]

სასანიანთა ირანში ხელისუფლების მიერ ქრისტიანობა არ იდევნებოდა შაბურ II-ის (309-379) ხანგრძლივი მეფობის პირველ ნახევარში, ეს სწორედ ის ხანაა, როდესაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა რომის იმპერიასა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში.

324 წელს რომის იმპერიის ერთპიროვნული მმართველი გახდა კონსტანტინე I (306-337), რომელსაც, 313 წელს მილანის ედიქტის გამოცემით საკუთარი თავი იმპერიაში ქრისტიანების მფარველად უკვე გამოეცხადებინა. 324 წლიდან

---

[22] Histoire Nestorienne, 1, 238-239.

[23] MSIHA-ZKHA, 119.

[24] Decret, “De Shâpûr I à Yazdgard I”, 130.

[25] MSIHA-ZKHA, 119; William Ainger Wigram, An introduction to the history of the Assyrian Church, or, The Church of the Sassanid Persian Empire, 100–640 A.D. (London: Society for promoting Christian knowledge; New York, E.S. Gorham, 1910), 44-45.

[26] Histoire Nestorienne, 1, 254.

[27] Histoire Nestorienne, 1, 254.

[28] Histoire Nestorienne 1, 255.

კონსტანტინემ დაიწყო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა და საზოგადოებრივ აზრს მომავალში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთვის ამზადებდა. მართალია, კონსტანტინეს სიცოცხლეში ქრისტიანობა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად არ გამოცხადებულა, მაგრამ, როგორც სამართლიანად არის შენიშნული ქართულ ისტორიოგრაფიაში, კონსტანტინეს მმართველობისას ქრისტიანობის წინა პლანზე წამოწევამ იმპერიის საგარეო პოლიტიკაზე გადაწყვეტი გავლენა მოახდინა.[29]

თავად კონსტანტინე თავს ქრისტიანობისა და ქრისტიანების დამცველად მიიჩნევდა არა მხოლოდ რომის იმპერიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მან დაიწყო საგარეო პოლიტიკაში მეზობლებზე გავლენის მოსაპოვებლად ქრისტიანობის გამოყენება. ამ მხრივ საინტერესოა ევსები კესარიელთან დაცული კონსტანტინეს წერილი შაბურ II-სადმი, რომელიც 324-337 წლებს შორის, უფრო კი მისი ერთპიროვნული მმართველობის პირველ წლებში, 324-326 წლებში უნდა იყოს დაწერილი.[30]

წერილში კონსტანტინე საკუთარ თავს აცხადებდა ირანში მცხოვრები ქრისტიანების დამცველადაც და შაბურს მოუწოდებდა, თავიანთი რწმენის თავისუფლად აღიარების უფლება ჰქონოდათ მათ. ამავე დროს, ეს წერილი ირიბად მუქარასაც შეიცავდა: *„ღმერთი, რომელსაც მე წარმოვადგენ, ისაა, რომლის ნიშანსაც მხრებით ატარებს ღმერთს მინდობილი ჩემი არმია, და რა დავალებისკენაც მოუწოდებს მას მართლმსაჯულების სიტყვა, იგი დაუყოვნებლივ მიდის. და ამ ადამიანებისგან გამარჯვების ნიშნით ვიღებ მყისიერ და ბედნიერ ჯილდოს.“*[31]

ირანში კარგად უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ქრისტიანობას რომი თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კონსტანტინე დიდის მეფობისას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, ქართლში, სომხეთსა და ალბანეთში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, რითაც ირანის სტრატეგიული მდგომარეობდა გაუარესდა.[32]

ქრისტიანობის მიღება ნიშნავდა ირანის მტრული ბანაკისადმი მიმხრობას და რომის მხარეზე აშკარა გადასვლას. რომში სწრაფად გაიაზრეს თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების გაქრისტიანებას მათი რეგიონული პოლიტიკისთვის. რომისთვის ქართლის გაქრისტიანების პოლიტიკური მნიშვნელობა კარგად ესმოდათ უკვე ადრინდელი ხანის ავტორებსაც, გელასი კესარიელი, საუბრობს რა ქართლის გაქრისტიანებაზე და ქართლის სამეფოს პირველი ეპისკოპოსის ხელთდასხმაზე იმპერიაში, წერს, რომ *„მას* (კონსტანტინეს - დ.ჩ.) *[კარგად] ესმის, რომ ეს არის ნიში ღმრთისა, რომელიც* ***უცხო-თესლთ უქვემდებარებს მას***.“[33]

---

[29] ემილ ავდალიანი, „ბიზანტიის „ქრისტიანული გეოპოლიტიკა“.“ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. შრომები - IX (2015): 45.

[30] Kyle Smith, Constantine and the Captive Christians of Persia: Martyrdom and Religious Identity in Late Antiquity (University of California Press, 2016): 29-30.

[31] Eusebius, Life of Constantine, Trans. Averil Cameron (Oxford: Clarendon Press, 1999): 157.

[32] (ავდალიანი, „ქრისტიანული გეოპოლიტიკა“, 45).

[33] გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა (თბილისი. 1961): 194.

მართალია, 299 წლის ნიზიბინის ზავით ირანს მოუწია მესოპოტამიის 5 პროვინციის, ასევე სომხეთისა და ქართლის დათმობა, მაგრამ ამ ტერიტორიებზე ირანი საბოლოოდ ხელის აღებას არ აპირებდა. ჩრდილოეთ მესოპოტამია და სომხეთი სასანიანთა ირანისთვის უმნიშვნელოვანესი რეგიონები იყო. სომხეთზე გადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო გზები ცენტრალური აზიიდან მცირე აზიისა და სირია-პალესტინის მიმართულებით. ამავე დროს, რაკიღა სასანიანებმა დედაქალაქად ისევ სამხრეთ მესოპოტამიაში მდებარე ქტეზიფონი აირჩიეს, ხოლო სომხეთი უშუალოდ ჩრდილო მესოპოტამიას ესაზღვრებოდა ისე, რომ მათ შორის რაიმე მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბარიერი არ იყო, რეგიონის ლანდშაფტი სომხეთიდან სასანიანთა ირანის დედაქალაქამდე მისვლის კარგ შესაძლებლობას იძლეოდა. ამიტომაც სასანიანთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, არ შეეშვათ რომაელები ჩრდილოეთ მესოპოტამიაში, რომელიც, თავის მხრივ, ორგანულად იყო დაკავშირებული სომხეთთან. სომხეთის დიდი მნიშვნელობა იმითაც განისაზღვრებოდა, რომ მისი ტერიტორიის დაკავებით კავშირი ებმებოდა ჩრდილოეთით მდებარე ქართლთან, ხოლო აღმოსავლეთით კი ალბანეთთან.[34]

ამგვარ ვითარებაში, სასანიანთა ირანი ვერც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა და რომის იმპერიის რელიგიურ-იდეოლოგიურ ერთობას, როგორც სამხრეთ კავკასიაში საბოლოოდ გაბატონების შემაფერხებელ ფაქტორს, შეეგუებოდა.

რომსა და ირანს შორის მდგომარეობა ომამდე ჯერ კიდევ კონსტანტინეს მეფობისას მივიდა: 335 წელს კონსტანტინემ თავისი ვაჟი კონსტანტიუსი გაგზავნა სასანიანთა წინააღმდეგ საომრად ჯარის მოსამზადებლად, ეს სამზადისი არ გამოჰპარვია შაბურ II-ს, რომელმაც პრევენციული დარტყმა განახორციელა სომხეთზე და ირანისთვის მისაღები კანდიდატურა დააყენა ტახტზე. კონსტანტინემ ეს საბაბად გამოიყენა და დაიწყო ირანის წინააღმდეგ საომარი სამზადისი, მაგრამ ეს კამპანია კონსტანტინეს სიკვდილმა ჩაშალა.[35]

კონსტანტინეს სიკვდილით ისარგებლა შაბურმა და იმავე წელს ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო რომის წინააღმდეგ. ომის დაწყებიდან მალევე, შაბურმა სასანიანთა იმპერიაში დაიწყო ქრისტიანთა დევნა, რომელიც ისტორიოგრაფიაში „დიდი დევნის“ სახელით არის შესული.

აღნიშნულ საკითხზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოს სიმონ ბარ საბას წამების ტექსტი, ე.წ. “სიმონის ისტორია“, რომლის მიხედვითაც *„შაბურ ჰორმიზდის ძის მეფობის 31-ე წელს, რომაელთა მეფის, ნეტარი კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, შაბურმა გამოიყენა შესაძლებლობა და შეუტია მის (კონსტანტინეს) შვილებს, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ. ის მუდმივად არბევდა რომაელთა მიწებს. და ამ მიზეზით, იგი სულ უფრო და უფრო აღშფოთებული იყო ღვთის მსახურთა მიმართ, რომლებიც მის განსაგებელ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და დაიწყო მორწმუნეთა დევნის მიზეზის ძებნა. ამგვარად, მან მოიგონა მიზეზები, რათა სპარსეთში მცხოვრები*

[34] ავდალიანი, „ქრისტიანული გეოპოლიტიკა“, 56.

[35] Michael H. Dodgeon and Samuel N. C. Lieu, The Roman Eastern Frontier and the Persian Wars (AD 226-363) (London: Routledge. 2002), 136-142; ავდალიანი, „ქრისტიანული გეოპოლიტიკა“, 46.

ქრისტიანები ორმაგი გადასახადებით დაჩაგრულიყვნენ.“[36] „სიმონის ისტორიაში“ ქრისტიანთა დევნის დაწყების მიზეზად რომაელებთან ომის გამო სპარსეთში მცხოვრებ ქრისტიანებზე შაბურის განრისხებაა დასახელებული. მაინც რამ გამოიწვია შაბურის ასეთი განრისხება?

338 წელს შაბურმა ნიზიბინს, რომელიც მესოპოტამიის გასაღებად იყო მიჩნეული და სასანიანებისთვის ძალიან დიდ მნიშვნელობას ატარებდა, შემოარტყა ალყა, 60-დღიანი უშედეგო ალყის შემდეგ, იგი იძულებული გახდა ალყა მოეხსნა და სპარსეთში დაბრუნებულიყო.[37]

„სიირთის ქრონიკის“ ცნობით, *„შაბურის მეფობის 31-ე წელს, შაბური მოემზადა და შეუტია ნიზიბინს, კონსტანტიმ, რომელსაც რომაელებმა კონსტანტინე უმცროსი შეარქვეს, წინააღმდეგობა გაუწია მას, შეებრძოლა და დაამარცხა იგი ამ ქალაქის ეპისკოპოს წმიდა იაკობის ლოცვების წყალობით. შემდეგ მას ღმერთმა შავი ღრუბელი და ქვები მოუვლინა ზეციდან. იგი (შაბურ - დ.ჩ.) დამარცხებული და შერცხვენილი უკუიქცა. მაგრამ გველგესლას მსგავსად, მან მხამი ამოანთხია თავის სამეფოში მცხოვრებ მამებსა და მორწმუნეებზე.“*[38]

„არბელას ქრონიკის“ ცნობით, ქრისტიანთა დასჯა შაბურმა სწორედ ნიზიბინის უშედეგოდ დასრულებული ალყის გამო გადაწყვიტა: *„ამის შემდეგ მეფე [შაბური] მუქარით დაბრუნდა, და დაიფიცა, რომ რომაელთა რელიგიას თავისი მიწიდან ამოძირკვავდა.“*[39]

სასანიდების იმპერიაში ქრისტიანობის ისტორიის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი ჟერომ ლაბური (Jérôme Labourt - 1874-1957) მიიჩნევდა, რომ ნიზიბინის წარუმატებელი ალყიდან დაბრუნებულმა შაბურ II-მ მთელი იმპერიის მაშტაბით შეკრიბა ჯარები, მან ჯარისკაცებს საგანგებო ანაზღაურება დაუნიშნა, მაგრამ სახელმწიფო ხაზინა ამ გადასახადებს ვერ ანაზღაურებდა, ამიტომაც ექსპედიციის მომზადებისთანავე საჭირო გახდა დამატებითი გადასახადების შეგროვება. გადასახადი გაუორმაგეს იმპერიაში მცხოვრებ ქრისტიანებს, რომლებსაც, შაბურმა ბრალად დასდო რომის იმპერატორის თანამოაზრეობა. ჟ. ლაბური სწორედ ამ ბრალდებას მიიჩნევს ქრისტიანთა დევნის დაწყების მთავარ მოტივად.[40]

შაბურმა თავისი საზაფხულო რეზიდენციიდან, კარკა დე’ლედანიდან (ლედანის კარკა) დედაქალაქ ქტეზიფონში ადმინისტრაციას გაუგზავნა ბრძანება: *„როგორც კი ნახავთ ჩვენი, ღმერთების განკარგულებას ამ წერილში, რომელიც ჩვენ გამოგიგზავნეთ, დააპატიმრეთ სიმეონი, ქრისტიანების მეთაური და არ გაათავისუფლოთ მანამ, სანამ არ მოაწერს ხელს დოკუმენტს, რომელიც მას ავალებს, რომ შეაგროვოს და მოგვცეს ორმაგი სულადობრივი გადასახადი და ორმაგი ხარკი მთელი ქრისტიანი ხალხისგან. ხალხისგან, რომელიც არის ჩვენს მიწაზე, და ბინადრობს ჩვენს საგანმგებლო ტერიტორიაზე. ჩვენთვის, ღმერთებისთვის, მწუხარება და ომებია, ხოლო მათთვის არის სიცოცხლე და სიამოვნება.* ***ისინი***

---

[36] Braun. Oscar, trans., Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang: (München: J. Kösel, Kempten, 1915), 5-6; Kyle Smith, The Martyrdom and History of Blessed Simeon Bar Sabba'e (Persian Martyr Acts in Syriac: Text and Translation). (Gorgias Pr Llc. 2014), 76.

[37] Dodgeon, Lieu, Roman Eastern Frontier, 171.

[38] Histoire Nestorienne 1, 297; Decret, “De Shâpûr I à Yazdgard I.” 142.

[39] MŠIHA-ZKHA, 128-129.

[40] Jérôme Labourt, Le Christianisme dans l’empire perse sous la dynastie Sassanide (224–632) (Paris: Librairie Victor Lecoffre, 1904), 45-46.

ცხოვრობენ ჩვენს მიწაზე, მაგრამ კეისრის, ჩვენი მტრის თანამოაზრეები არიან. *და ჩვენ ვიბრძვით, მაგრამ ისინი ისვენებენ.“*[41]

„არბელას ქრონიკის“ ცნობით, მანიქეველებმა და ებრაელებმა მოგვებს *„აჩვენეს, რომ ქრისტიანები რომაელთა ჯაშუშები იყვნენ და ყველაფერს, რაც [სპარსელთა] სამეფოში ხდებოდა, ისინი თავიანთ [რომაელ] ძმებს სწერდნენ.“*[42]

საინტერესოა, რამდენად ჰქონდა შაბურს რეალური მიზეზი, მიეჩნია თავის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანები რომაელთა მოკავშირედ? ამ ომისადმი სასანიანთა იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანების დამოკიდებულებას კარგად წარმოაჩენს IV საუკუნის სირიელი ქრისტიანი ავტორის, აფრაატის (დაახლ. 280-დაახლ. 345) V სიტყვა, რომელიც დაახლ. 337 წელს არის დაწერილი, და რომელშიც წმიდა წერილისეული ენითა და ალეგორიებით რომსა და ირანს შორის ომზეა მითითებანი: *„სიკეთე მოვიდა ღვთის ხალხზე და კურთხევა ელის იმ ადამიანს, რომლის მეშვეობითაც მოვიდა სიკეთე* (იგულისხმება კონსტანტინე დიდი)[43] *და ბოროტება აღიძვრება ბატონის მიმართ, რომელიც შეკრებილია ბოროტი და ამპარტავანი [ადამიანის] მიერ, რომელიც ქედმაღლობით არის სავსე* (იგულისხმება შაბურ II[44] *და ვაი მას, ვისი მეშვეობითაც ბოროტება აღიძვრება... და რაც შეეხება იმას, რაც მოგწერე, საყვარელო, რომ ესავის შვილთა სამეფო* (იგულისხმება რომის იმპერია) *დაცულია მისი მომცემისთვის, ნუ გეეჭვება, რომ ეს სამეფო* (ე.ი. რომის იმპერია) *არ იქნება დაპყრობილი. ძლევამოსილი დამცველი, რომლის სახელია იესო, მოვა სიძლიერით და თავისი საჭურვლით შეეწევა სამეფოს მთელ ჯარებს... და რაც შეეხება იმას, რაც მოგწერეთ იმ ძალთა შესახებ, რომლებიც საომრად არიან აღძრულნი, ისე კი არ არის, რომ არაფერი გამომეცხადა, რომ თქვენ გაგიცხადოთ, არამედ ყურადღება მიაქციეთ წერილის დასაწყისში არსებულ სიტყვებს - „ყოველი, რომელიც საკუთარ თავს აიმაღლებს, დამდაბლდება“. თუნდაც ძალებმა* (ე.ი. სპარსელთა არმიამ - დ.ჩ.) *წარმატებას მიაღწიონ და გაიმარჯვონ, იცოდეთ, რომ ეს ღვთის სასჯელია. და თუ ისინი გაიმარჯვებენ, სამართლიანი სასჯელით იქნებიან მსჯავრდებულნი. დარწმუნებული იყავი იმაში, რომ მხეცი თავის დანიშნულ დროს მოკვდება. მაგრამ, შენ, ჩემო ძმაო, გულმოდგინედ ითხოვე წყალობა ამ დროს, რომ მშვიდობა მოვიდეს ღვთის ხალხზე.“*[45]

შაბურის მიერ დაწყებული დევნის მოტივად ირანში მცხოვრები ქრისტიანების „მეხუთე კოლონად“ მიჩნევა ძირითადად გაზიარებულია ისტორიოგრაფიაში.[46]

ნაომი კოლტუნ-ფრომის (Naomi Koltun-Fromm) მოსაზრებით, ქრისტიანებისთვის გადასახადის დაწესება განპირობებული იყო შაბურის სურვილით, ჰქონოდა საბაბი ქრისტიანებზე იერიშის მისატანად, რადგანაც იცოდა,

---

[41] Braun, Ausgewählte Akten, 8-9; Smith, The Martyrdom, 76.

[42] MŠIHA-ZKHA, 130.

[43] Timothy D. Barnes, “Constantine and the Christians of Persia.” The Journal of Roman Studies 75 (1987): 134).

[44] Barnes, “Constantine and the Christians, 134.

[45] Philip Schaff and Henry Wace,. Trans., A Select library of Nicene and post-Nicene fathers of the Christian church. Second series, Volume XIII. Part II. Gregory the Great. Ephraim Syrus. Aphrahat. (New York: The Christian literature company. 1898), 352; 361-362; Dogdeon, Lieu, Roman Eastern Frontier, 142-143.

[46] Wigram, An introduction, 34; Jacob Neusner, “Babylonian Jewry and Shapur II’s Persecution of Christianity from 339 to 379 A.D.” HUCA 43 (1979): 79; Naomi Koltun-Fromm, A Jewish-Christian Conversation in Fourth Century Mesopotamia A Reconstructed Conversation. (Gorgias Press, 2011), 68; Bowman, The Cambridge Ancient History, 474.

რომ ქრისტიანები მის მოთხოვნას ვერ შეასრულებდნენ. ხოლო მათ მიერ გადასახადის გადაუხდელობა საკმარისი მიზეზი იყო მათი სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯისთვის.[47]

მართლაც, სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსმა სიმეონ ბარ საბამ უარი თქვა გადასახადის გადახდაზე, რასაც მოჰყვა შაბურის მიერ სიმონისგან და სელევკია-ქტეზიფონის სამღვდელოებისგან მაზდეანობის მიღების მოთხოვნა, უარის შემდეგ კი მათი სიკვდილით და ქრისტიანთა დევნა.

რიჩარდ ბერჯისმა (R. W. Burgess) ყურადღება მიაქცია იმას, რომ შაბურის მიერ ქრისტიანთა დევნის გააქტიურება ემთხვევა შაბურის ორ მთავარ მარცხს: 337 წლის ნიზიბინის უშედეგო ალყას და 344 წლის სინგარას ბრძოლაში დამარცხებასა და მისი ვაჟის სიკვდილს.[48]

ფ. დეკრე აღნიშნავს, რომ გაჭიანურებული სამხედრო კონფლიქტი რომსა და სასანიანთა ირანს შორის რელიგიების ომში (ქრისტიანობასა და მაზდეანობას შორის) გადაიზარდა.[49]

ორივე იმპერიისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სომხეთს და ზოგადად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. შაბურმა მოახერხა სომხეთის მეფე ტირანისა და მისი ოჯახის შეპყრობა, ტირანი დააბრმავეს, მაგრამ მალევე, რომაელებთან მარცხის გამო იძულებული შეიქმნა გაეთავისუფლებინა სომხეთის სამეფო ოჯახი და სომხეთის მეფედ ტირანის ვაჟი, არშაკი ეცნო (დაახ. 338/339 წ.). ფავსტოს ბუზანდს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ ჩამოართვა ერთგულების და მოკავშირეობის ფიცი შაბურ II-მ მასთან თავისთან მყოფ არშაკს. მან მოაყვანინა სელევკია-ქტეზიფონის ეკლესიის მღვდლები, რომლებმაც მოიტანეს სახარება და მასზე დააფიცა არშაკი.[50] მოგვიანებით (346/347 წელს) არშაკი შაბურს ეხმარებოდა ნიზიბინის ალყისას, მაგრამ შემდეგ არშაკსა და შაბურს შორის ურთიერთობა დაიძაბა.[51]

შაბურს მოუხერხებია ალბანეთის მეფის გადმობირება და 359 წლისთვის იგი ირანის მოკავშირე ჩანს და რომის წინააღმდეგ ომშიც მონაწილეობს.[52] რაც შეეხება სომხეთსა და ქართლს, მათი მეფეების, არშაკისა და მერიბანის სპარსელთა მხარეს გადასვლა რომ თავიდან აეცილებინათ, რომაელებმა ისინი დიდძალი საჩუქრებით მოქრთამეს.[53]

363 წელს სპარსეთში ლაშქრობისას იმპერატორი იულიანე ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო ჯარისკაცების მიერ იმპერატორად არჩეულმა იოავიანემ ე.წ. „სამარცხვინო ზავი“ შეკრა შაბურთან, რომლის თანახმადაც რომმა სპარსეთს გადასცა ტიგროსისპირა 5 პროვინცია: არზანენე, მოხოენე, ზაბდიკენე, რეჰიმენე და

---

[47] Koltun-Fromm, A Jewish-Christian Conversation, 68.

[48] R. W. Burgess, “The Dates of the Martyrdom of Simeon bar Sabba'e and the 'Great Massacre”. Analecta Bollandiana, Vol. 117. (1999): 41.

[49] Decret, “De Shâpûr I à Yazdgard I,” 142.

[50] Фавстос Бузанд, История Армении. Пер. с др.-арм. и коммент. М. А. Геворгяна. Под ред. С. Т. Еремяна. Вступит. ст. Л. С. Хачикяна. (Ереван: Академия Наук Армянской ССР. 1953), 100.

[51] Фавстос Бузанд, История Армении, 104-108.

[52] Charles Duke Yonge, trans., The Roman history of Ammianus Marcellinus: during the reigns of the emperors Constantius, Julian, Jovianus, Valentinian, and Valens. (London: George Bell & sons, York street. Covent Garden, 1887), 176.

[53] Yonge, The Roman history, 253.

კორდუენე 15 ციხით, ასევე ქალაქი ნიზიბინი, სინგარა და კასტრა მაურორუმი, ხოლო რომს აეკრძალა სომხეთისთვის დახმარების გაწევა.[54]

შაბურ II-მ ისარგებლა რომის იმპერიაში სხვადასხვა ტომების შემოსევით და სომხეთში შეიჭრა. 367/8 წელს მან ჯერ მოტყუებით შეიპყრო სომხეთის მეფე არშაკი და დააბრმავა, შემდეგ კი რომაელების მოკავშირე, ქართლის მეფე სავრომაკი (საურმაგი) გააძევა და ქვეყნის განმგებლობა ასფაგურს გადასცა.[55]

შაბურს კარგად ესმოდა, რომ სამხრეთ კავკასიის საბოლოოდ დაუფლებაში ქრისტიანობა ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო, ამიტომაც დევნიდა იგი სომხეთში ქრისტიანებს, აგებდა ცეცხლის ტაძრებს და აიძულებდა, მიეღოთ ზოროასტრიზმი.[56] ამგვარივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ქართლის სამეფოშიც, ამიანე მარცელინეს ასფაგური უნდა იყოს „ქართლის ცხოვრების“ ვარაზ-ბაკური. რომელიც, *„იყო კაცი ურწმუნო და მოძულე სჯულისა, და ვერ იკადრებდა ერისაგან განცხადებად სჯულისა სიძულილისა, რამეთუ მოქცეულ იყო ქართლი და დიდსა სარწმუნოებასა შინა იყვნეს აზნაურნი და ყოველი ერი ქართლისა. და ვარაზ-ბაქარ შიშისა მათისაგან ვერ განაცხადებდა დატევებასა სჯულისასა; არა სადა აღაშენა ეკლესია, არ-ცა-რა მატა შენებულთა, და ყოვლითა-ვე იქცეოდა უსჯულოდ... [ვარაზ-ბაკურმა] უბრძანა ყოველთა, რათა დამალნენ ჯუარნი.“*[57]

მალევე, იმპერატორი ვალენტი (364-378) შეტევაზე გადავიდა და სომხეთის ტახტზე არშაკის ვაჟის, პაპის (368-374) აყვანა შეძლო, შემდეგ კი ქართლში გაგზავნილ სავრომაკს მან სარდალი ტერენციუსი გააყოლა ლეგიონებთან ერთად, რის შედეგადაც სავრომაკის ძალაუფლება აღდგა ქართლის ნაწილზე, მეორე ნაწილს კი ასფაგური განაგებდა.[58]

პაპი დაახლ. 374 წ. რომაელებმა მოკლეს სპარსელებთან კავშირის გამო, რაც შეეხება ქართლს, შაბურმა იარაღის ძალით შემოიერთა რომის იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი ქართლის ნაწილი, რაზეც პასუხის გაცემა იმპერიაში გართულებული მდგომარეობის გამო ვერ შეძლო იმპერატორმა ვალენტიმ.[59]

შაბურის პოლიტიკა მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა, ამიტომაც მაზდეანობის გავრცელებისა და ქრისტიანობის დევნა-შევიწროვების პარალელურად შაბურის „პროგრამა მინიმუმი“ უნდა ყოფილიყო სომხეთისა და ქართლის ეკლესიების (თუ კი ქართლის ეკლესიის შემთხვევაში ასეთი რამ საერთოდ არსებობდა) რომის იმპერიის ეკლესიებისადმი იერარქიული დამოკიდებულების მოსპობა (ცნობილია, რომ სომხეთის მთავარეპისკოპოსი კესარიის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა).[60]

ფავსტოს ბუზანდის ცნობით, სომხეთის მეფე არშაკმა, სომხეთის მთავარეპისკოპოს ნერსესთან უთანხმოების დროს, დაახლ. 364-367 წლებში,

---

[54] (Yonge, The Roman history, 393-394.

[55] Yonge, The Roman history, 463.

[56] Lenski, 2002: 172.

[57] ქართლის ცხოვრება. ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. (თბილისი: 1955), 135-136.

[58] Yonge, The Roman history, 465-466.

[59] Yonge, The Roman history, 545-548.

[60] Nina Garsoïan, "Secular jurisdiction over the Armenian church (fourth-seventh centuries)." Harvard Ukrainian Studies 7 (1983): 223.

მოინდომა, რომ ეკურთხებინა ახალი მთავარეპისკოპოსი: *„მეფემ ბრძანა, რომ სომხეთის ქვეყნის ყველა ეპისკოპოსი მოეხმოთ, რათა ჩუნაკი (Չունակ) დაედგინათ სომხეთის საკათოლიკოსოში [კათოლიკოსად], მაგრამ არც ერთი არ დათანხმდა, რომ მოსულიყვნენ. მხოლოდ აღძნიქის (Աղձնիք - არზანენე - დ.ჩ.) და კორდუქის (Կորդուք - კორდუენე, ქარდუ - დ.ჩ.) ეპისკოპოსები მოვიდნენ და აკურთხეს ჩუნაკი კათოლიკოსად თანახმად მეფის ბრძანებისა.“*[61] როგორც ზემოთ ვნახეთ, არზანენე და კორდუენე 363 წლის ზავით რომმა გადასცა ირანს და ეს ტერიტორია 364 წელსაც ირანის ეკუთვნოდა და არა სომხეთს[62], შესაბამისად, ეს ეპისკოპოსები მხოლოდ შაბურ II-ის ნებართვით შეძლებდნენ სომხეთის ეკლესიის მეთაურის კურთხევას, ამიტომაც, ჩუნაკის კურთხევაში მკვლევრები სამართლიანად ხედავენ შაბურ II-ის ხელს[63], რომელმაც არშაკს ეპისკოპოსები „მიახმარა“, რითაც ჩაერია სომხეთის ეკლესიის საქმეში და ამით სცადა გაეწყვიტა სომხეთის ეკლესიას კესარიის (ე.ი. რომის იმპერიის) ეკლესიასთან იერარქიული დამოკიდებულება და ხელთ ეგდო უფლება სომხეთის მთავარეპისკოპოსის დადგენისა. ნინა გარსოიანი ხაზს უსვამს იმასაც, რომ ჩუნაკის კურთხევა ნიკეის კრების დადგენილების დარღვევით მოხდა, რომელმაც განსაზღვრა, რომ ეპისკოპოსი მინიმუმ 3 ეპისკოპოსს უნდა ეკურთხებინა.[64] ჩვენი მხრიდან დავამატებთ, რომ ეპისკოპოსის ხელთდასხმა 2 ეპისკოპოსის მიერ, რაც მოციქულთა კანონებით დაშვებული იყო, ამ დროს ირანის ტერიტორიაზე მიღებული იყო და არაკანონიკურად არ ითვლებოდა, ირანში მხოლოდ 410 წლის სელევკიის კრების I კანონით დადგინდა, რომ 1 და 2 ეპისკოპოსის მიერ ეპისკოპოსის დადგენა არაკანონიკური იყო და ამგვარად ხელთდამსხმელებისა და ხელთდასხმულის დამხობა დაადგინა.[65]

ეს აქტი იყო აშკარა ჩარევა კესარიის ეკლესიის საქმეში და სამწუხაროდ, წყაროთა უქონლობის გამო, არ ვიცით როგორ დასრულდა ეს ამბავი, რადგანაც ფავსტოსი მოკლედ აღწერს ცუნაკის ქმედებებს და ამის შემდეგ მასზე ცნობები აღარ აქვს, ხოლო მთავარეპისკოპოსად ისევ ნერსეს ახსენებს, როგორც ჩანს, შაბურმა ამ შემთხვევაში ვერ მოახერხა თავისი განზრახვის შესრულება. მაგრამ, არშაკის შემდეგ რომის დახმარებით სომხეთში გამეფებულმა პაპმა (368-374) 373 წელს მოკლა სომხეთის მთავარეპისკოპოსი ნერსე დიდი, შემდეგ კი კესარიის მთავარეპისკოპოსისგან დაუკითხავად სომხეთის მთავარეპისკოპოსად აკურთხა იუსიკი.[66] პაპის ქმედებაში, ვფიქრობ, უნდა დავინახოთ შაბურ II-ის ხელი, რადგანაც ნერსეს, კესარიის საყდარს დაქვემდებარებული ეპისკოპოსის, მკვლელობითა და მის ნაცვლად სომხეთის დამოუკიდებელი ეპისკოპოსის კურთხევით ბოლო მოეღო სომხეთის ეკლესიის იერარქიულ დაქვემდებარებას კესარიის ეკლესიისადმი. კესარიისადმი იერარქიული დაქვემდებარების გაუქმებაში რომ ირანის შაჰის ხელი

---

[61] Փավստոս Բուզանդ, Պատմություն Հայոց, (Երևան: Հայաստան հրատարակչություն, 1968): 175; Бузанд, Фавстос. История Армении, Пер. с др.-арм. и коммент. М. А. Геворгяна. Под ред. С. Т. Еремяна. Вступит, ст. Л. С. Хачикяна. (Ереван. Академия Наук Армянской ССР. 1953), 98.

[62] Garsoian, "Secular jurisdiction," 232.

[63] Mishal Marciak, Sophene, Gordyene, and Adiabene, Three Regna Minora of Northern Mesopotamia Between East and West, (Leiden: Brill, 2017), 148-149.

[64] Garsoian, "Secular jurisdiction," 233.

[65] დავით ჩიქოვანი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია IV-V საუკუნეებში (კრებათა აქტები და სხვა მასალები) (თბილისი: კალმოსანი, 2019), 54.

[66] Фавстос Бузанд, История Армении, 168, 174.

ერია, ამაზე Narratio de rebus Armeniae[67] და არსენ კათოლიკოსი პირდაპირ მიგვითითებენ: *„სომეხთა გარდააქციეს აღთქმაჲ იგი, რომელი დაუდვა წმინდამან გრიგოლი კესარია ეკლესიისა უკუნისამდე არა განშორებად მისგან ხელთდასხმისაჲ ებისკოპოსობისა სომხითისაჲ, და რამეთუ სომხითმან ბრძანება მოიღო სპარსთა მეფისაგან ჴელთ დასხმაჲ ეპისკოპოსობისა თავით თჳსით.“*[68]

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შაბურის რელიგიური პოლიტიკის გასააზრებლად საინტერესოა იოანე ეფესელთან დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც, *„მეფეთა მეფე შაბურის დღეებში, რომელსაც ასევე უნდოდა, რომ აქ* (სომხეთში - დ.ჩ.) *აეშენებინა მისი რწმენის* (ზოროასტრული - დ.ჩ.) *ტაძარი, მაგრამ [ამ] მიწის ხალხი შეიკრიბა და ომი დაიწყო, რომელიც 7 წელიწადს გაგრძელდა და ბოლოს მან პირობა დადო და ედიქტი გამოსცა, ბრძანებით, რომ არავინ ჩარეულიყო ან ხელი შეეშალა ჩვენთვის* (სომხებისთვის - დ.ჩ.), *რომ სამუდამოდ ვიყოთ ქრისტიანები.“*[69] აქ არ არის ზუსტი მითითება, თუ რომელ შაბურს ეხება ეს ცნობა, მაგრამ რაკიღა შაბურ III-მ მხოლოდ 5 წელი იმეფა (383-388) იგი უნდა იყოს შაბურ II. როგორც ჩანს, რომის საეკლესიო იურისდიქციიდან სომხეთის გაყვანის პირველი მარცხიანი მცდელობის შემდეგ შაბურმა სომხეთში ზოროასტრიზმის გავრცელება სცადა, მაგრამ აქაც ხელი მოეცარა და საბოლოოდ იძულებული გახდა, ისევ „პროგრამა მინიმუმს“ დასჯერებოდა - რომთან იერარქიული დაქვემდებარების მოშლის სანაცვლოდ შეგუებოდა (დროებით მაინც) სომხეთის ქრისტიანობას.

რაც შეეხება ქართლის სამეფოს, ჩვენ არ ვიცით, ექვემდებარებოდა თუ არა ქართლის ეკლესია რომის იმპერიის რომელიმე ეპისკოპოსს, მაგრამ ასეთის არსებობის შემთვევაში შაბურ II-ის ან მისი რომელიმე უახლოესი მემკვიდრის მეფობაში სომხეთის მსგავსად ეს დაქვემდებარებაც უნდა მოშლილიყო. შესაძლოა, სწორედ ამ ვითარებას ასახავდეს ჯუანშერის ცნობა, რომ ქართლის გაქრისტიანების შემდეგ *„რამეთუ შორის სპარსთა და ბერძენთა შფოთი იყო, და მით ვერ მოაწიეს საქმე ესე ჯერისა-ებრ სჯულისა.“*[70]

379 წელს, შაბურ II-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა არდაშირ II (379-383,) რომელიც ჯერ კიდევ ადიაბენეში მეფობის დროს (344-376) დევნიდა ქრისტიანებს.[71] ტახტზე ასვლის შემდეგ კი „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, არდაშირ II-ს გაუგრძელებია თავისი ძმის პოლიტიკა ქრისტიანთა მიმართ: *„საკუთარი ძმის მსგავსად, ის მტრულ დამოკიდებულებაში იყო ქრისტიანთა მიმართ და ხოცავდა მათ.“*[72]

383 წელს ტახტზე ავიდა შაბურ III, რომელმაც „სიირთის ქრონიკის“ ცნობით, *„თავისუფლება უბოძა ქრისტიან ტყვეებს, რადგანაც - ამბობდა ის - გათავისუფლებით ისინი განიახლებენ სიცოცხლეს და გადაიხდიან გადასახადს, რაც*

---

[67] Narratio de rebus Armeniae (Gerard Garitte, trans., La Narratio de rebus Armeniae: (Par. Imprimerie Orientaliste L. Durbecq. 1952), 30, 35)

[68] არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ (თბილისი. მეცნიერება, 1980): 81.

[69] R. Payne, Smith, trans., The third part of The ecclesiastical history of John, Bishop of Ephesus. (Oxford, Univ. Press. 1860): 121.

[70] ქართლის ცხოვრება ტ. I, 197.

[71] Labourt, Le Christianisme, 80, 84.

[72] Histoire Nestorienne, 2, 260.

სახელმწიფოს უფრო მეტად გამოადგება.“[73] როგორც ამ ცნობიდან ჩანს, შაბურ III-ს შეუცვლია თავისი წინამორბედების პოლიტიკა ქრისტიანთა მიმართ და მათ დევნას მათ მიერ გადასახადების გადახდა უმჯობინებია.

ჩვენი ყურადღება მიიქცია „არბელას ქრონიკის“ ერთმა ცნობამ, რომელიც ეხება არბელას ეპისკოპოს სუბჰალიშოს (375-406) დროს მომხდარ ამბებს *„...მისი [ეპისკოპოსობის] მეათე წელს მან დაიწყო მღვდლებისა და დიაკვნების ხელთდასხმა, ისინი ძალიან შემცირებულნი იყვნენ დევნის გამო და სოფლების უმრავლესობაში ერთი მღვდელიც კი არ იყო. რამდენიმე წელიწადში ჩვენს ქვეყანაში სარწმუნოება დაუბრუნდა თავის პირვანდელ სილამაზეს, რამაც ყველა თვითმხილველი გააოცა.“*[74]

სუბჰალიშოს ეპისკოპოსობის (375-406) მეათე წელი უდრის 384 წელს, მის მიერ 384 წელს მღვდელმსახურთა კურთხევის დაწყება ტახტზე ახლად ასული შაბურ III-ის მიერ გამოცემულ ბრძანებას უნდა უკავშირდებოდეს. ამდენად, „სიირთის ქრონიკის“ ცნობა „არბელას ქრონიკის“ ცნობითაც მყარდება.

384 წელსვე უნდა მომხდარიყო შაბურ II-ის მეფობის დროს გაუქმებული დედაქალაქის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენა.[75]

შაბურის ამ ნაბიჯს, მაზდეანთა ძლიერი კასტის წინააღმდეგობა მოჰყვა და დედაქალაქის ეპისკოპოს თუმარსას (384-392) მოგვების მიერ მის წინააღმდეგ გაჩაღებული დევნის ატანა უწევდა.[76]

მართალია, საკუთრივ ირანის სახელმწიფოში ქრისტიანებმა მიიღეს თავისუფლება, მაგრამ ნიშნავდა თუ არა ეს იმას, რომ ქართლშიც ანალოგიური ვითარება იყო? და საერთოდ, როგორი იყო შაბურ III-ის რელიგიური პოლიტიკა ქართლში? ამ საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია ეღიშეს ცნობა, რომლის მიხედვითაც *„ღვთისმსახურება სომეხთა ქვეყანაში თავისუფლად სრულდებოდა მეფეთა მეფე შაპურის გამეფებიდან მეფეთა მეფე იეზდიგერდის, ბაჰრამის ძის, მეორე წლამდე.“*[77] მართალია, ეღიშე არაფერს ამბობს ქართლზე, მაგრამ, ვფიქრობთ, ამგვარივე პოლიტიკა უნდა ეწარმოებინა შაბურს ქართლის მიმართაც. შაბურ III-ის თანადროულად ქართლში უნდა ემეფა თრდატს, რომელსაც ლეონტი მროველი ვარაზ-ბაკურის შემდეგ ასახელებს მეფედ. სწორედ შაბურის ქრისტიანებისადმი შემწყნარებლურ პოლიტიკას უნდა უკავშირდებდეს თრდატის აქტივობები: *„ამან სიბრძნითა თჳსითა დაამშჳდნა სპარსნი, გამოაჩინნა ჯუარნი და შეკაზმნა ეკლესიანი. და ამის-ზე მოკუდა ეპისკოპოსი იაკობ, და დასუა მის წილ ელია. და ხარკსა მისცემდა სპარსთა მეფესა. ხოლო მან გამოიღო რუსთავი და აღაშენა ეკლესია; და მან-ვე აღაშენა ეკლესია ნეკრესისა. და მეფობდა უშფოთველად, და მოკუდა სარწმუნოებასა შინა დიდსა.“*[78] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობაც იმავეს გვეუბნება: *„და დაჯდა მეფედ თრდატ... და მეფემან რუისთვისა რუ გამოიღო* და

[73] Histoire Nestorienne, 2, 261.
[74] MSIHA-ZKHA, 141.
[75] Labourt, Le Christianisme, 85; Wigram, An introduction, 82-83.
[76] Histoire Nestorienne, 2, 306.
[77] Elisaeus Bishop of the Amadunians: The History of Vartan and of the battle of the Armenians: Containing an account of the religious wars between the Persians and Armenians. Translated from the Armenian by C. F. Neumann (London: Oriental Translation Fund, 1830):3.
[78] ქართლის ცხოვრება ტ. I, 137.

ეკლესიისა საფუძველი დადვა, და მისზევე ნეკრესს კახეთისა ეკლესია აღიშენა განსრულებით.“[79]

ეღიშეს ცნობით, შაბურ III-ს არა მხოლოდ რწმენის თავისუფლად აღიარების ნებართვა მიუცია სომეხთათვის, არამედ სომხეთის ეკლესია გადასახადებისგანაც გაუთავისუფლებია.[80] მართალია, ქართლის შესახებ ცნობები არ გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობთ, შაბურის პოლიტიკა ქართლის მიმართაც ანალოგიური უნდა ყოფილიყო.

აქ აუცილებლად ჩნდება კითხვა, ნუთუ შაბურმა უარი თქვა თავისი წინამორბედების პოლიტიკაზე, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ეიძულებინა რომის იმპერიასთან გაეწყვიტათ იდეოლოგიური კავშირი და შეეგუა მათ ქრისტიანობას?

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში შაბურ III-ის რელიგიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მოვსეს ხორენაცის ცნობა, რომლის მიხედვითაც, როდესაც 387 წელს სომხეთის მეფე ხოსროვ IV-მ (387-389) მთავარეპისკოპოსად საჰაკი (387-428) დაადგინა, შაბურ III (383-388) *„ხოსროვს განურისხდა იმის გამო, რომ მან ... [სპარსთა მეფის] ბრძანების გარეშე ეპისკოპოსად დაადგინა საჰაკ დიდი.“*[81]

ეს ნიშნავდა იმას, რომ ირანის შაჰი პრეტენზიას აცხადებდა სომხეთის ეკლესიის მეთაურის დადგენაზე, შესაბამისად ცდილობდა სომხეთის ეკლესიაზე იურისდიქციის მოპოვებას, რაშიც მას ხელს ვერაფერი შეუშლიდა, რადგანაც, დაახლ. 387 (ან 384) წელს რომმა და სასანიანთა ირანმა სომხეთი დაინაწილეს, მისი 1/5 ერგო რომს, ხოლო 4/5-სპარსეთს. ნინა გარსოიანის დაკვირვებით, მიუხედავად იმისა, რომ სომხური წყაროები ირანის გავლენის ყოველგვარი გამოვლინებისადმი მტრობას ავლენენ, ისინი მე-4 საუკუნის ბოლოდან არაბთა დაპყრობებამდე სომხეთის ეკლესიაზე სპარსეთის იურისდიქციის მნიშვნელოვან ხარისხს აჩვენებენ.[82]

სამწუხაროდ, წყაროთა უქონლობის გამო არ ვიცით, მოიპოვა თუ არა სომხეთის ეკლესიის მსგავსად ქართლის ეკლესიაზეც იურისდიქცია ირანის შაჰმა.

ირანი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში ებრძოდა რომის გავლენის გავრცელებას, მხარს უჭერდა აქ სირიული კულტურის გაბატონებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ერთი მომენტი: ჭაბუკაურის გრანდიოზული ბაზილიკა, რომელიც თრდატის მიერ აშენებული ნეკრესის ეკლესია უნდა იყოს[83], ანეგრეტ პლონტკე-ლუნინგის (Annegret Plontke-Lüning) დაკვირვებით, ოთხკუთხედი საკურთხევლითა (წმიდათა წმიდა) და სხვა არქიტექტურული დეტალებით აჩვენებს კავშირს სასანური ირანის IV საუკუნის მიწურულით დათარიღებულ ეკლესიებთან.[84]

ქრისტიანთა მიმართ თავისი მეფობის პირველ წლებში მოწყალე იყო სასანიანთა ირანის ტახტზე შაბურ III-ის მემკვიდრე ბაჰრამ IV-ც (388-399). მის დროს

---

[79] მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოცემა (თბილისი. 1979): 325.

[80] Elisaeus, The History of Vartan, 22-23; Scott McDonough, “Power by Negotiation: Institutional Reform in the Fifth Century Sasanian Empire”. (PhD diss., University of California, 2008): 252.

[81] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ (თბილისი, 1984), 219.

[82] Garsoian, "Secular jurisdiction,” 235.

[83] ბახტაძე, მამიაშვილი, გაბეხაძე, ჩხვიმიანი, 2020: 44-48.

[84] Annegret Plontke-Lüning, “ ‘Late Antique and Early Christian Art and Architecture in Georgia". (Winter School: Ancient World and Caucasus. 6-11 March 2017), 9.

სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოს თუმარსას მოუხერხებია დანგრეული ეკლესიების აღდგენა და ახლების აშენებაც, რაშიც მას ბაჰრამის ქრისტიანი მსახური ბოხტ'იშო დახმარებია, მაგრამ ბაჰრამმა რამდენიმე წელიწადში ქრისტიანთა მიმართ დამოკიდებულება შეცვალა, მანვე სიკვდილით დასაჯა თავისი ქრისტიანი მსახური ბოხტ'იშო[85], რის გამოც, ბაჰრამი წყაროებში იწოდება „ქრისტიანების მტრად".[86]

სწორედ ამის გამო, თუმარსას გარდაცვალების შემდეგ (დაახლ. 392 წ.) დედაქალაქის საეპისკოპოსო კათედრა ერთხანს ვაკანტური დარჩა, ბარ ებრაიას ცნობით, *„არც ერთ ეპისკოპოსს არ სურდა საკუთარი თავი წარედგინა ქრისტიანთა მეთაურად"*. რადგანაც ეს დაკავშირებული იყო დიდ რისკთან.[87] მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ (დაახლ. 494 წ.) დედაქალაქის ეპისკოპოსობა საკუთარ თავზე აიღო ქაიომამ, რომელიც უკვე მოხუცი იყო.

სწორედ ბაჰრამის მეფობაში (395 წლის შემდეგ) უნდა დაეკავებინა ქართლის სამეფოს ტახტი ფარსმანს, რომელსაც, მართალია ტახტი დიდხანს არ სჭერია - *„და მცირედ-ჟამ მეფობდა და მოკუდა,"*[88] მაგრამ, სავარაუდოდ, სასანიანთა ირანში იეზდიგერდ I-ის (399-420) მეფობის პირველ წლებს უნდა მოსწრებოდა. რომლის ტახტზე ასვლის ტახტზე ასვლის შემდეგ, 399 წელსვე აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა არკადიუსმა (395-408) იეზდიგერდის კარზე ელჩობა გაგზავნა რომელთა შორისაც იყო მაიფერტაკის ეპისკოპოსი მარუთა.[89] არკადიუსი იეზდიგერდს სწერდა რა სპარსეთში ქრისტიანთა დევნის შესახებ, სთხოვდა, კეთილგანწყობილი ყოფილიყო ქრისტიანთა მიმართ, შეწყვეტილიყო მათი დევნა და მიეცა მათთვის ეკლესიების აღდგენის უფლება.[90]

იეზდიგერდმა დიდი პატივით მიიღო მარუთა, რომელმაც მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა[91], რამაც მოგვების გაღიზიანება გამოიწვია, მათ ხრიკების გამოყენებით სცადეს ჩაეშალათ მარუთას ვიზიტი, რომელსაც ქრისტიანებისთვის სასიკეთო პირი უჩანდა, მაგრამ ხრიკები გამოვლინდა და იეზდიგერდმა მოგვთა წოდების დეციმაცია მოაწყო.[92]

მარუთამ სთხოვა იეზდიგერდს ქრისტიანთათვის სარწმუნოების თავისუფლად აღიარების ნება დაერთო, გაეთავისუფლებინა შეპყრობილი ქრისტიანები და მიეცა დანგრეული ტაძრების აღდგენის უფლება. მისი თხოვნა მეფემ დააკმაყოფილა.[93]

---

[85] Histoire Nestorienne, 2, 306.

[86] Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle. English Translation, Translated by David Wilmshurst (Gorgias Press, 2015), 320-322.

[87] Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, 320-322.

[88] ქართლის ცხოვრება ტ. I, 138.

[89] ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 35-37.

[90] Histoire Nestorienne, 2, 317-318; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria ex codibus Vaticanis edidit ac Latine reddidit Henricus Gismondi, pars. I: Amri et Slibae textus versio Latina (Rome: excudebat C. de Luigi, 1897), 13-14.

[91] Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria ex codibus Vaticanis edidit ac Latine reddidit Henricus Gismondi, pars.II. Maris textus arabicus et versio Latina (Rome: excudebat C. de Luigi, 1899), 25-26; სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა (თბილისი: ახალი ივერონი, 2012), 396.

[92] სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, 396-39.

[93] Histoire Nestorienne, 2, 317-318, 331-332.

ამრიგად, 399 წელს, მარუთას ელჩობის შედეგად, სპარსეთის იმპერიაში შეწყდა ქრისტიანთა დევნა და მშვიდობამ დაისადგურა.

399 წელსვე სელევკიაში გაიმართა ეპისკოპოსთა კრება, რომელზეც სელევკია-ქტეზიფონის მოხუცი ეპისკოპოსი ქაიუმა (394/395-399) გადადგა და მის ნაცვლად აკურთხეს ისააკი (399-410).[94]

ამ მოვლენებს შესაბამისი გამოძახილი უნდა ჰქონოდა ქართლის სამეფოშიც. მართლაც, „ლეონტი მროველის“ ცნობით, ფარსმან მეფემ *„განამრავლნა ჯუარნი, და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა, და აღაშენა ეკლესია ბოლნისისა.“*[95]

მართალია, ქართლში, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებში) ირანელები ქრისტიანებს აღარ სდევნიდნენ, მაგრამ თავიანთი გრძელვადიანი მიზნების განხორციელება მათ სხვა საშუალებებით დაიწყეს. 387 წლის შემდეგ, როდესაც ირანმა და რომმა გაინაწილეს სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და ირანს მისი უდიდესი ნაწილი, მათ შორის ქართლის სამეფოც ერგო, ირანელებმა სომხეთში დაიწყეს ბერძნული მწიგნობრობის დევნა და ბერძნულენოვანი წიგნების განადგურება, მოვსეს ხორენაცის ცნობით: *„მეჰრუჟანმა დაწვა ბერძნული წიგნები მთელს ჩვენს ქვეყანაში; ამასთანავე, სომხეთის დანაწილებისას, სპარსთა წილ [სომხეთში] სპარსელი მოხელეები არავის რთავდნენ ბერძნული მწიგნობრობის შეთვისების ნებას, მხოლოდ ასურულის [შესწავლა შეიძლებოდა].“*[96]

ლაზარ ფარპეცის ცნობით, *„სომეხი ხალხის ეკლესიებსა და მონასტრებში ღვთისმსახურება და წმინდა წერილის კითხვა სირიულ ენაზე ტარდებოდა.“*[97]

სწორედ ამგვარი ვითარება ედო საფუძვლად სომხური დამწერლობის შექმნას. ვფიქრობთ, იგივე ვითარება უნდა ყოფილიყო ქართლში (ჩვენ არ ვებმებით ქართული დამწერლობის შექმნის დროის შესახებ არსებულ კამათში, მხოლოდ მიგვაჩნია, რომ IV-V საუკუნეთა მიჯნაზე ქართული დამწერლობის შექმნას რიგ წერილობით წყაროებთან ერთად სამხრეთ კავკასიაში არსებული პოლიტიკური ვითარებაც უჭერს მხარს).

ფარსმანის შემდეგ, V საუკუნის დასაწყისში ქართლის მეფედ ბაკური ჩანს[98] (რომლის დროსაც სომხური წყაროები მიუთითებენ ქართული დამწერლობის შექმნას). ბაკურის მეფობასთან დაკავშირებით საინტერესოა პეტრე იბერის ცხოვრებაში აღწერილი ერთი ეპიზოდი: *„როდესაც ის* (ბაკური - დ.ჩ.) *სპარსთა მეფესთან ერთად სალაშქროდ გავიდა, რამდენადაც მას საზავო კავშირი ჰქონდა მასთან შეკრული და ერთი მისი* (სპარსთა მეფის -დ.ჩ.) *სარდალთაგანიც იყო, და დაინახა, რომ როგორც კი ძზე ამოვიდა, თვით მეფეც და ყველა მისი სარდალი, მეთაურები, სატრაპები და წარჩინებულებიც, ერთბაშად ჩამოხტნენ ცხენიდან და ძზეს მიმართეს ლოცვით, ის* (ბაკური) *თავის ცხენზედ მჯდომარედ დარჩა. და როდესაც სხვა სატრაპებმა ეს მეფეს მოახსენეს, და თვით ბაკურიოსიც წარსდგა მის*

---

[94] Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum 1, 26; (ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 35-38.

[95] ქართლის ცხოვრება, ტ. I, 138.

[96] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 224.

[97] „Ghazar P'arpec'i's History of the Armenians“ Robert Bedrosian’s Homepage. New York, 1985. Accessed June 9, 2008. http://www.attalus.org/armenian/gpintro.htm).

[98] კორნელი კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV. (თბილისი. 1957), 275; ანრი ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში (თბილისი. 1979), 25-26.

წინაშე, შეეკითხა მას - მართალია თუ არა რაც თქვესო. დანიელისა და მისი ჭაბუკი მეგობრის მიმბაძველმა მთელი ჯარის წინაშე გულახდილად წამოიძახა; მე ვარ ქრისტიანი და მე არ შემფერის უარვყო ის, რომელიც ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი და და ყოვლის შემოქმედია, და ლოცვით მივმართო მის გაჩენილს, რომელიც იმისთვის არის შექმნილი, რომ რომ მე და ყველა ადამიანს გვემსახუროს და გვინათოს. - ასე რომ მეფე, თუმცა განცვიფრებული იყო და მისი გულახდილობით დარცხვენილი, მიუბრუნდა თავისიანებს და ჩუმად უთხრა: ეს არის ბაკურიოსი და ჩვენ ის გვჭირდება, რა უნდა ვუყოთ მას?"[99] ვფიქრობ, ბაკურისადმი შაჰის ასეთი ქცევა „მის საჭიროობასთან" ერთად ზოგადად ქრისტიანთა მიმართ იეზდიგერდის პოლიტიკის შედეგიც უნდა ყოფილიყო.

409 წელს თეოდოსი II-მ სპარსეთში ელჩად გაგზავნა მარუთა მარტიროპოლელი, რომელმაც სპარსეთში ჩაიტანა ანტიოქიის ეკლესიის წარმომადგენლების, ანტიოქიის ეპისკოპოს პორფირიუსის, ალეპოს ეპისკოპოს აკაკის, ედესის ეპისკოპოს პაქიდას, ტელას ეპისკოპოს ევსებისა და ამიდის ეპისკოპოს აკაკის, წერილი, რომელიც მან საიდუმლოდ ანახა ეპისკოპოს ისააკს, რის შემდეგაც წერილი თარგმნეს სპარსულად და იეზდიგერდს წარუდგინეს. წერილში ეპისკოპოსები ითხოვდნენ კრების გამართვას. იეზდიგერდმა ამაზე თანხმობა განაცხადა, სპეციალური ბრძანება გაუგზავნა სხვადასხვა მხარის მარზპანებს, რომელთაც უნდა უზრუნველეყოთ კრებაზე მოწვეული ნიზიბინის, არბელას, ბეთ გარმაისა, ბეთ ჰუზაიეს, მაიშანისა და კაშკარის პროვინციათა 40 ეპისკოპოსის დროულად გამომგზავრება.[100]

მოწვეული ეპისკოპოსები დედაქალაქში ჩავიდნენ 410 წლის 6 იანვარს, შობისა და ნათლისღების დღესასწაულზე.[101] როდესაც იეზდიგერდმა მათი ჩამოსვლა შეიტყო, ისააკს და მარუთას უბრძანა, რომ ყველანი საკათედრო ტაძარში შეკრებილიყვნენ. კრება გაიხსნა 410 წლის 1-ელ თებერვალს, სამშაბათ დღეს, სელევკიის დიდ საკათედრო ტაძარში.[102]

კრების აქტებში საგანგებოდ არის ხაზგასმული იეზდიგერდის დამსახურება ქრისტიანთა წინაშე: *„მან მიანიჭა თავისუფლება და სიმშვიდე ქრისტიანებს და ღვთის მსახურებს უფლება მისცა ღიად განედიდებინათ ქრისტე... მან დაცხრო ღვთის ეკლესიის დევნის ქარიშხალი და განაშორა სნეულების სიბრმავე ქრისტეს მთელი სამწყსოსგან. მან უბრძანა ყველას მის სამეფოში, რომ ტაძრები, რომლებიც დაინგრა მისი წინამორბედების მიერ, უნდა აშენდეს ბრწყინვალედ მისი მეფობისას. და საკურთხევლები, რომლებიც იყო ჩამონგრეული, დიდი სიფრთხილით უნდა აღედგინათ. ისინი, ვინც თავისი რწმენის გამო იყო პასუხისმგებლობაში მიცემული და პატიმრობითა და ტანჯვით გამოცდილი, უნდა გათავისუფლებულიყვნენ. ასევე მღვდლები და წინამძღვრები, და მთელი წმინდა კრებული, გადაადგილდებოდნენ თავისუფლად და შიშის გარეშე."*[103]

---

[99] გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტომი II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი. 1965. 250-251.

[100] Jean-Baptiste Chabot, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens (Paris: Imprimerie Nationale, 1902), 256-257; Histoire Nestorienne, 2, 318-319; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 41-43.

[101] Chabot, Synodicon Orientale, 257. შენ. 3; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 44; იქვე, შენ, 133.

[102] Chabot, Synodicon Orientale, 257 შენ. 6; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 45.

[103] Chabot, Synodicon Orientale, 254; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 39-40.

ამრიგად, თუკი 399 წლიდან იმპერიაში ქრისტიანებს შეეძლოთ თავისუფლად ცხოვრება და თავიანთი სარწმუნოების ღიად გამოხატვა, 410 წლის კრების წინ იეზდიგერდმა უკვე მისი წინამორბედების დროს დანგრეული ტაძრების აღდგენის ბრძანება გასცა. ამ აქტით, ფაქტობრივად, იეზდიგერდმა იგივე როლი ითამაშა ქრისტიანთათვის ირანში, რაც კონსტანტინე დიდმა რომის იმპერიაში. ეს ბრძანება მიჩნეულია 313 წლის მილანის ედიქტის სასანურ ანალოგად, ხოლო იეზდიგერდი - „სპარსელ კონსტანტინედ."[104]

ქრისტიანებთან ასეთი ურთიერთობის გამო იეზდიგერდს შემდეგში წარმართმა ავტორებმა „ცოდვილი" (წყეული) (სპარს. Bazehkar/ bezagar, არაბ. al-athim) უწოდეს.[105]

ქრისტიანების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება მხოლოდ იეზდიგერდის პოლიტიკის ნაწილი რომ იყო, ეს ძალიან კარგად ჩანს იმით, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის იურისდიქციის საზღვრების გაფართოების პარალელურად, იეზდიგერდს ხელი არ აუღია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მაზდეანობის გავრცელებაზე. რადგანაც მას მშვენივრად ესმოდა, რომ მხოლოდ ასე თუ ჩამოაცილებდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რომს. მოვსეს ხორენაცის ცნობით, 414 წელს გარდაცვლილი სომხეთის მეფის, ვრამშაპუჰის (389-414) ნაცვლად იეზდიგერდის მიერ 415 წელს გამეფებული საკუთარი უფროსი შვილის, შაბურის, მეშვეობით ცდილობდა სომხების მაზდეანობაზე გადაყვანას და ამ გზით რომაელებისგან ჩამოშორებას: *„[იეზდიგერდი] ფიქრობდა, რომ რაკი ნახარარები მუდამ შაპუჰთან იქნებოდნენ, იგი მიიჩვევდა მათ საუბრით, ურთიერთობით, წვეულებებით, ნადირობის ჟამს თავის შექცევით, აგრეთვე დამოყვრების მეშვეობით დაიახლოვებდა და ამნაირად **იქნებ მომხდარიყო მათი გადახრა მაზდეანური სარწმუნოებისაკენ, რის შედეგადაც სავსებით ჩამოცილდებოდნენ ბერძნებს.**"*[106]

ვფიქრობთ, არც ქართლის მიმართ ექნებოდა იეზდიგერდს განსხვავებული პოლიტიკა და მაზდეანი ქურუმები ქართლის სამეფოს დიდებულებისა თუ „წვრილი ერის" გამაზდეანებას სხვადასხვა, მშვიდობიანი გზით ისევ აგრძელებდნენ.

410 წლის კრებაზე დაფუძნდა აღმოსავლეთის ეკლესია, რომლის მეთაურიც გახდა დედაქალაქის, სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი, რომელმაც მიიღო „აღმოსავლეთის კათოლიკოსის" ტიტული. კრების მამებმა მიიღეს 325 წლის ნიკეის კრების დადგენილებები.

410 წლის კრების აქტის მიხედვით, შაჰ იეზდიგერდს დედაქალაქის, სელევკია-ქტეზიფონის, ეპისკოპოსი ისააკი „მთელი აღმოსავლეთის ქრისტიანების ხელმძღვანელად" დაუდგენია[107], იგი გახდა „დიდი მიტროპოლიტი და ყველა ეპისკოპოსის თავი."[108] მაგრამ, აღმოსავლეთის ეკლესიის შემადგენლობაში შესული საეპისკოპოსოები არ მოიცავდა სპარსეთის იმპერიის საზღვრებში

[104] Labourt, Le Christianisme, 92; Scott McDonough, "A Second Constantine?: The Sasanian King Yazdgard in Christian History and Historiography." Journal of Late Antiquity 1 (2008): 128.
[105] Wigram, An introduction, 85; McDonough, "A Second Constantine?," 129.
[106] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, 224-225.
[107] Chabot, Synodicon Orientale, 261; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 48.
[108] ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 68.

არსებულ ყველა ქრისტიანულ თემს.[109] სამაგიეროდ, აღმოსავლეთის ეკლესიაში შევიდა არზანენეს ჩრდილოეთით, სომხეთის ტერიტორიაზე არსებული „ბეთ დ'აუსტანის" საეპისკოპოსო.[110] აღმოსავლეთის ეკლესიის ჩრდილოეთ საზღვრებმა უკვე 410 წელსვე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საზღვრებს უწია.

იმისთვის, რომ „აღმოსავლეთის ეკლესიას" მთელი იმპერია მოეცვა, კრებამ განაჩინა, რომ იმპერიის სხვა ეპისკოპოსებს მომავალში უნდა მიეღოთ 410 წლის კრების დადგენილებები: *„შორეული ეპარქიების - ფარსის, კუნძულების, ბეთ მადაიეს, ბეთ რ[აზ]იქაიეს და ასევე აბრაშაჰრის მხარის ეპისკოპოსებს შემდგომში ევალებათ კრების მიერ შემუშავებული კანონების მიღება. როგორც კი რომელიმე შემოვა, ვალდებულია მიიღოს, დაეთანხმოს, ხელი მოაწეროს ამ კანონებს,"*[111] რაც „აღმოსავლეთის ეკლესიაში" მათ ავტომატურ შესვლას გულისხმობდა.

კრებიდან მალევე, 410/1 წელს გარდაიცვალა აღმოსავლეთის კათოლიკოსი ისააკი. მის ნაცვლად იეზდიგერდის თანხმობით დაადგინეს აჰაი (410/411-414/415). რომელიც „იეზდიგერდის დიდი კეთილგანწყობით სარგებლობდა" და რომელსაც იეზდიგერდი იმპერიის საშინაო საქმეების მოგვარებასაც ავალებდა.[112]

აჰაის გარდაცვალების შემდეგ, იეზდიგერდის მეფობის მე-16 ე.ი. 414/5 წელს აღმოსავლეთის კათოლიკოსი გახდა იაჰბალაჰა (ღვთის მოცემული)[113], რომელიც იეზდიგერდის კანდიდატურა უნდა ყოფილიყო, რადგანაც „სიირთის ქრონიკის" ცნობით, *„იეზდიგერდი იმდენად კარგად იცნობდა მას, რომ ბრძანა, დაედგინათ იგი კათოლიკოსად."*[114]

იაჰბალაჰა ენერგიული ხელმძღვანელი გამოდგა, მის დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა აღმოსავლეთის ეკლესიის იურისდიქცია. 415-420 წლებს შორის აღმოსავლეთის ეკლესიას უნდა შეერთებოდა ფარსისა, მერვის, სპარსეთის ყურის კუნძულების, მიდიის, აბრაშაჰრისა და ადორბიგანის (ძველი ატროპატენე) საეპისკოპოსოები.[115]

თავისი მეფობის მე-19 და იაჰბალაჰას კათოლიკოსობის მე-3 ე.ი. 417/8 წელს იეზდიგერდმა კათოლიკოსი იაჰბალაჰა ჩაუყენა სათავეში დიპლომატიურ მისიას, რომელიც აღმოსავლეთ რომის იმპერიაში გააგზავნა, იაჰბალაჰა დიდი პატივით მიიღეს და დასაჩუქრებული გამოუშვეს სამშობლოში, მას რომაელთა ქვეყნიდან ჩამოუტანია „წმიდა სამკაული", რომლითაც მან სელევკიის საკათედრო ტაძარი შეამკო, იმპერატორ თეოდოსის მიერ ბოძებული საბოძვრით იაჰბალაჰას აუშენებია ეკლესიები.[116]

---

[109] Christopher Buck, "The Universality of the Church of the East: How Persian was Persian Christianity." The Journal of the Assyrian Academic Society. Vol. 10 (1996): 63.

[110] Chabot, Synodicon Orientale, 272; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 71.

[111] Chabot, Synodicon Orientale, 272-273; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 72.

[112] Histoire Nestorienne, 2, 324-325.

[113] Histoire Nestorienne, 2, 326; Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, 324.

[114] Histoire Nestorienne, 2, 326.

[115] Geo Widengren, "The Nestorian Church in Sasanian and Early Post-Sasanian Iran." in Incontro di religioni in Asia tra il III e il X secolo d.C. Ed. Lionello Lanciotti (Firenze: Leo S. Olschki Editore, 1984): 11; Buck, "Church of the East." 64, 67.

[116] Chabot, Synodicon Orientale, 277; Histoire Nestorienne, 2, 326, 332.

419 წელს, აღმოსავლეთ რომის იმპერატორმა თეოდოსი მცირემ (408-450) იაჰბალაჰას ელჩობის საპასუხოდ ამიდის ეპისკოპოსი აკაკი გააგზავნა სპარსეთში.[117]

419 წლის ზამთრისა და 420 წლის გაზაფხულის შუალედში სელევკიაში გაიმართა საეკლესიო კრება.[118] კრების აქტი, განსაკუთრებით მისი დასაწყისი, მრავალმხრივ არის საყურადღებო და საინტერესო: *„კრება უფალ იაჰბალაჰასი, კათოლიკოსისა ბეთ ლაპატისა, ნიზიბინისა, ფარსისა, არმენიისა (სომხეთის), მაიშანის ფერათისა, ჰედაიაბისა, ბეთ გარმაისა, გურზანისა (ქართლის), ბეთ მადაიესი, არანისა (ალბანეთის), აბრაშაჰრისა, ადორბიგანისა, კუნძულებისა, ისთაჰრისა, კარკასი, არზონისა, შუშისა, შუშტერისა, ბელაშფარისა, დასქარტასი, ზაბესი, ფეროზ-შაბურისა, დარგერდისა, ბეთ დარაიესი, შაბურ-კუასტისა, არდაშირ-ფარიჰდისა, ბეთ შაბურისა, საიმარატისა.“*[119]

ხელნაწერის ჩვენების გაზიარების შემთხვევაში ზემოთჩამოთვლილი ონომასტიკონი უნდა იყოს იმ პროვინციათა ჩამონათვალი, რომელზედაც იაჰბალაჰას იურისდიქცია ვრცელდებოდა.

კრების აქტების გერმანული თარგმანის გამომცემელმა ოსკარ ბრაუნმა (Oskar Braun - 1862–1931) ტექსტი ამგვარად გამართა: „კრება მარ იაჰბალაჰასი, კათოლიკოსისა [და ეპისკოპოსებისა] ბეთ ლაპატისა, ნიზიბინისა, ფარსისა, არმენიისა, ფერათ დე მაიშანისა, ჰედაიაბისა, ბეთ გარმაისა, გურზანისა,..“[120] ამგვარი წაკითხვით ჩამოთვლილი ტერიტორიების კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსთა ეპარქიებია.

ტექსტის ფრანგულ ენაზე მთარგმნელმა და გამომცემელმა ჟან-ბატისტ შაბომ (Jean-Baptiste Chabot – 1860-1948) ხელნაწერის ვერსია უცვლელად დატოვა და ამგვარი შენიშვნა დაურთო: „კათოლიკოსი ბეთ ლაპატისა, ნიზიბინისა, და ა.შ. საკმაოდ უცნაური ფორმულირებაა. მე ვფიქრობდი აღმედგინა: კათოლიკოსი [სელევკიისა და ქტეზიფონისა და ეპისკოპოსები] ბეთ ლაპატისა და ა.შ.; მაგრამ, შესაძლებელია, რომ გადამწერს განზრახული ჰქონდა, აღერაცხა ეპარქიები, რომლებზედაც პატრიარქის უფლებამოსილება ვრცელდებოდა, მით უმეტეს, რომ სათაურში ჩამოთვლილი რეგიონების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ხელმომწერ ეპისკოპოსებს. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ რომ სახელები შეიძლება დაკარგულიყო ხელმომწერთა სიიდან, როგორც ეს მოხდა სხვა რამდენიმე კრების შემთხვევაში.“[121]

მიუხედავად რიგი წინააღმდეგობებისა[122], ვფიქრობთ, აქტის დასაწყისში წარმოდგენილი პროვინციების სახელები ეკუთვნის კრებაში მონაწილე ეპისკოპოსებს და კრების დადგენილებებზე არსებული ხელმოწერები ჩვენამდე ნაკლული სახით არის მოღწეული, დაკარგული უნდა იყოს ხელმოწერები ფარსის

---

[117] Chabot, Synodicon Orientale, 276-277; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 81.

[118] Geoffrey Herman, “The Last Years of Yazdgird I and the Christians” in idem, ed. Jews, Christians and Zoroastrians: Religious Dynamics in a Sasanian Context, Judaism in Context 17, Gorgias Press, (2014): 74.

[119] Braun. Oscar, trans., Das Buch der Synhados oder Synodicon Orientale (Amsterdam: Philo press. 1900), 35; Chabot, Synodicon Orientale, 276; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 82-83.

[120] Braun, Das Buch der Synhados, 35.

[121] Chabot, Synodicon Orientale, 276 შენ. 1.

[122] Chikovani, David. “The Synod of Mar Yahbalaha (AD 419/420) and its Significance for the History of the Church of Kartli.” Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. T. 30 (2020): 149-150.

ეპისკოპოსის ხელრთვიდან ისთაჰრის ეპისკოპოსის ხელმოწერის ჩათვლით (12 ხელმოწერა) და კიდევ ხუთი ან ექვსი ხელმოწერა. თავდაპირველად ხელმოწერათა რიცხვი უნდა ყოფილიყო არა 12, არამედ 29 ან 30 (იაჰბალაჰასა და აკაკი ამიდელის ხელმოწერების ჩათვლით).[123]

ამ აზრს ისიც გვიმყარებს, რომ, ვფიქრობთ, ამგვარ მნიშვნელოვან კრებას, რომელსაც საგანგებოდ ესწრებოდა აღმოსავლეთ რომის იმპერატორის ელჩი და ანტიოქიის ეკლესიის წევრი, ამიდის ეპისკოპოსი აკაკი, აღმოსავლეთის ეკლესიის კრებების ისტორიაში უპრეცედენტოდ მცირე, მხოლოდ 10-ოდე ეპისკოპოსი (აღმოსავლეთის კათოლიკოს იაჰბალაჰას გარდა) არ დაესწრებოდა.

420 წლის კრების მუშაობაში მრავალი ეპისკოპოსის მონაწილეობაზე მიუთითებს „არბელას ქრონიკის“ ცნობაც: *„პატრიარქმა იაჰბალაჰამ დაწერა და მოიწვია ყველა ეპისკოპოსი, რომ შეკრებილიყვნენ მასთან საეკლესიო საქმეებისთვის.“*[124]

მაშასადამე, კრების აქტზე დართული ხელმოწერები არასრული სახით უნდა იყოს ჩვენამდე მოღწეული და კრების დამსწრე ეპისკოპოსთა ეპარქიების ჩამონათვალი კრების აქტის დასაწყისში უნდა იყოს შემონახული, შესაბამისად, 420 წელს სელევკიაში გამართულ კრებას უნდა დასწრებოდა ქართლის ეკლესიის წარმომადგენელიც, ისევე, როგორც, სომხეთისა და ალბანეთის წარმომადგენლები.

რას შეიძლება ნიშნავდეს ეს? კრების აქტში გურზანის - ქართლის სირიული სახელწოდების დასახელებას საქართველოს ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართაგან ყურადღება პირველად მ. თარხნიშვილმა მიაქცია, მისი თქმით, „ამ კრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ „ეპისკოპოსები გურზანიდან“ ე.ი. საქართველოდან... კრების აქტების მიხედვით იაჰბალაჰა ყველა იქ შეკრებილი ეპისკოპოსის კათალიკოსია; იგი „აღმოსავლეთის ეპისკოპოსების მეთაურად“ იწოდება „...იეზდიგერდის მთელს სამეფოში“ და ისინი (ეპისკოპოსები) მისი მორჩილნი უნდა იყვნენ. ერთი სიტყვით, კრებაზე დამსწრე ეპისკოპოსები მიიჩნევიან იაჰბალაჰაზე დაქვემდებარებულად, ეს... სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს, თუ არა იმას, რომ V საუკუნის დასაწყისში ქართული ეკლესია მართლაც სირიულ-სპარსული საკათალიკოსოს შემადგენელი ნაწილი იყო და სამართლებრივადაც უთუოდ მასზე იყო დამოკიდებული.“[125]

გ. მამულია შენიშნავს, რომ რადგანაც კრებათა აქტებში არაფერია ნათქვამია 410 წლის კრების მუშაობაში ქართლის ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ, სავარაუდოა, რომ იმ დროისთვის ქართლის ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო მოქცეული სელევკია-ქტეზიფონის კათალიკოსის უშუალო გავლენის ქვეშ. სულ სხვაგვარი ვითარებაა 420 წლისთვის, როდესაც ირანის ეკლესიის II კრებაზე მონაწილეობას ღებულობს არა მხოლოდ ქართლის (გურზანის) წარმომადგენელი, არამედ სიმხეთისა და ალბანეთის (არანი) ეპისკოპოსებიც. შესაბამისად, ქართლის ეკლესია სირიულ-სპარსული საკათალიკოსოს გავლენის სფეროში მოქცეულა არა V ს. დასაწყისში, როგორც ამას მ. თარხნიშვილი

---

[123] Chikovani, “The Synod of Mar Yahbalaha,” 150-152.

[124] MSIHA-ZKHA, 143.

[125] მიქელ თარხნიშვილი, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოშობა და განვითარება.“ მნათობი, N11 (1989): 159.

ვარაუდობდა, არამედ უფრო მოგვიანებით, V ს. 20-იან წლებში. გ. მამულიას მ. თარხნიშვილის მოსაზრება 420 წლისთვის ქართლის ეკლესიის სელევკია-ქტეზიფონის კათოლიკოსისადმი კანონიკური დამოკიდებულების შესახებ არ მიაჩნია დამაჯერებლად. მისი აზრით, რადგანაც იმ დროს ბიზანტია-ირანს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა, ხოლო თვით ირანის ეკლესია ბიზანტიის ეკლესიასთან მჭიდრო დამოკიდებულებაში იყო და ანტიოქიის საპატრიარქოსაგან თავის კანონიკურ დამოკიდებულებასაც არ უარყოფდა. ასეთ პირობებში სელევკია-ქტეზიფონის კათალიკოსი ბიზანტიელ საეკლესიო იერარქებს ვერ გაანაწყენებდა და ქართლის ეკლესიაზე მათ კანონიკურ უფლებებს ვერ ხელყოფდა. გ. მამულიას აზრით ქართლის ეკლესიის დამორჩილება სელევკია-ქტეზიფონის კათოლიკოსს მხოლოდ 424 წლის შემდეგ შეეძლო, როდესაც მან ანტიოქიისგან ავტოკეფალია გამოაცხადა.[126]

როგორც ზემოთ ვნახეთ, გ. მამულიას შეუძლებლად ეჩვენებოდა 420 წლისთვის აღმოსავლეთის კათოლიკოსისადმი ქართლის ეკლესიის დაქვემდებარება, რადგანაც თავად აღმოსავლეთის ეკლესია მას ამ დროისთვის ანტიოქიის დაქვემდებარებაში მყოფად მიაჩნდა. მართალია, ზოგიერთი გვიანდელი წყაროს ცნობით, „აღმოსავლეთის ეკლესია“ დაარსებიდან ანტიოქიის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა[127] და მკვლევართა უდიდესი უმრავლესობა ამ დებულებას იზიარებდა, ისინი მიიჩნევდნენ, რომ 424 წლამდე აღმოსავლეთის ეკლესია ანტიოქიის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდა და მხოლოდ 424 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა[128] მაგრამ უკანასკნელ ხანებში მკვლევრებმა ეს დებულება გააქარწყლეს და აჩვენეს, რომ აღმოსავლეთის ეკლესიის დაქვემდებარება ანტიოქიის ეპისკოპოსისადმი გვიანდელი გამონაგონია და მას საერთო არ აქვს ისტორიულ რეალობასთან - აღმოსავლეთის ეკლესია დაარსების დროიდან დამოუკიდებელი იყო.[129]

ვფიქრობთ, 410 წლის კრების აქტებიდან უფრო მეტი ინფორმაციის მიღებაც შეგვიძლია ჩვენთვის საინტერესო საკითხზე: როგორც ვნახეთ, 410 წლის კრებაზე ჩამოყალიბდა აღმოსავლეთის ეკლესია, აღმოსავლეთის ეკლესიის ერთ-ერთი სამიტროპოლიტო კათედრა გახდა ნიზიბინი, რომლის ეპისკოპოსსაც დაექვემდებარნენ არზონის (არზანენე), ქარდუს (გორდიენე), ბეთ ზაბდაის

---

[126] გიორგი მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში (თბილისი: მეცნიერება. 1992), 8.

[127] Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum 1, 1-2; Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum 2, 4-5; Bar Hebraeus, The Ecclesiastical Chronicle, 314-316.

[128] Labourt, Le Christianisme dans l'Empire Perse Sous la Dynastie Sassanide (224-632)1904: 120-125; Wigram, An introduction, 124-125; Adrian Fortescue, The lesser eastern churches (London : Catholic Truth Society, 1913), 51; Percy Sykes, A history of Persia (London: Macmillan, 1915), 468; Artur Christensen, L'Iran sous les Sassanides (Copenhagen: Levin and Munksgaard, 1936), 276; Frye, " Iran under the Sasanians." 321; Suha Rassam, Christianity in Iraq. Its Orogins and Development to the Present Day (Leominster: Gracewing, 2006), 36; მამულია, ქართლის ეკლესია, 8; ყიფიანი, 2010: 726.

[129] (Sebastian P. Brock, "The Church of the East in the Sasanian Empire Up to the Sixth Century and Its absence form the counsils in the Roman Empire", Syriac Dialogue 1 (1994): 75; Wilhelm Baum and Dietmar Werner Winkler, The Church of the East: A Concise History (London and New York: Taylor & Francis e-Library, 2003): 19-21; Cherian, Vilakuvelil Cherian Samuel. The Growing Church (An Introduction to Indian Church History) (Kottayam: Divyabodhanam Publications, Orthodox Seminary, P. B. 98. 2007): 41-43).

(ზაბდიკენე), ბეთ რაჰიმაის (რეჰიმენე), ბეთ მოკსაიეს (მოხოენა) ეპისკოპოსები.[130] აბსოლუტურად ყველა ეს ტერიტორია 363 წლამდე რომის იმპერიას ეკუთვნოდა, ხოლო იქ არსებული საეპისკოპოსოები, სანამ ეს ტერიტორიები ირანს გადაეცემოდა, ანტიოქიის ეპისკოპოსს ექვემდებარებოდნენ.[131]

მაშასადამე, 410 წლისთვის სელევკიის ეპისკოპოსი არათუ არ ექვემდებარებოდა ანტიოქიის ეპისკოპოსს, არამედ მისი ყოფილი საეპისკოპოსოები თავად დაიქვემდებარა. ამ ყოველივედან გამომდინარე, 410 წლისთვის „აღმოსავლეთის ეკლესიის“ ანტიოქიის ეპისკოპოსისადმი დაქვემდებარებაზე საუბარი შეუძლებელია.

შესაბამისად, არ არსებობდა ხელისშემშლელი ფაქტორი ირანის შაჰისგან მხარდაჭერილი აღმოსავლეთის ეკლესიისთვის, რის გამოც ის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკლესიების (განსაკუთრებით სომხეთის - აქ ხომ 415 წლიდან თავად იეზდიგერდის შვილი მეფობდა) დაქვემდებარებას ვერ შეძლებდა.

ქართლის (ისევე, როგორც სომხეთისა და ალბანეთის) ეკლესიის შესვლა აღმოსავლეთის ეკლესიის იურისდიქციაში 410 წლის კრების შემდეგ და 420 წლის კრებამდე უნდა მომხდარიყო, ალბათ, უფრო 415-420 წლებში. ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს 420 წლის კრებაზე აკაკი ამიდელის ყოფნას, რომის იმპერიის წარმომადგენელი და ამავე დროს ანტიოქიის ეკლესიის წევრი, იმ ანტიოქიისა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ჰქონდა ქართლის ეკლესიაზე პრეტენზია, კრებაში მონაწილეობით აღიარებდა აღმოსავლეთის ეკლესიის იურისდიქციის გავრცელებას ქართლის ეკლესიაზე.

მაშასადამე, V საუკუნის 10-იან წლებში ქართლის ეკლესია აღმოსავლეთის ეკლესიის შემადგენლობაში შევიდა, ამიერიდან მისი უმაღლესი იერარქი არა მცხეთის მთავარეპისკოპოსი, არამედ სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი და სრულიად აღმოსავლეთის კათოლიკოსი იყო, რომელზეც, თავის მხრივ, ირანის შაჰს ჰქონდა იურისდიქცია.

ამდენად, იეზდიგერდ I-მა ქრისტიანებისთვის თავისუფლებისა და პრივილეგიების მინიჭებით არა მხოლოდ დაარეგულირა (მართალია, მცირე ხნით) რელიგიური ჯგუფების მშვიდობიანად თანაცხოვრება თავის იმპერიაში, არამედ „აღმოსავლეთის ეკლესიის“ სახით მიიღო სამხრეთ კავკასიის ქრისტიანული სახელმწიფოების რელიგიური და პოლიტიკური კონტროლის ძლიერი იარაღი. ამიერიდან ქართლის, სომხეთისა და ალბანეთის სახელმწიფოებისა და ეკლესიათა მესვეურთ მოუწევდათ ქრისტიანობის სახელით დასაპყრობად მოსულ იმპერიასთან გამკლავება.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ავდალიანი, ემილ. „ბიზანტიის „ქრისტიანული გეოპოლიტიკა“.“ საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი. *შრომები - IX.* 43-59, თბილისი - 2015.

[130] Chabot, Synodicon Orientale, 272; ჩიქოვანი, კრებათა ისტორია, 68.

[131] Wigram, An introduction, 72; Marijke Metselaar-Jongens, “Defining Christ. The Church of the East and Nascent Islam” (PhD. Diss, Vrije University, 2016), 7.

2. არსენი საფარელი. *განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა.* ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ . თბილისი. მეცნიერება, 1980.
3. ბახტაძე, ნოდარ. მამიაშვილი, ვაჟა. გაბეხაძე, ბაჩანა. ჩხვიმიანი, ჯიმშერ. *ნაქალაქარ ნეკრესის უძველესი ქრისტიანული* ტაძრები. თბილისი, 2020.
4. ბოგვერაძე, ანრი. *ქართლის ჰოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში.* თბილისი. 1979.
5. *გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.* ტომი I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი. 1961.
6. *გეორგიკა - ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ.* ტომი II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი. 1965.
7. თარხნიშვილი, მიქელ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოშობა და განვითარება. „მნათობი“, N11 (1989): 157-166.
8. კეკელიძე, კორნელი. *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. IV. თბილისი, 1957.
9. ლომოური, ნოდარ. ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან. თბილისი: მეცნიერება, 1975.
10. მამულია, გიორგი, *ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში,* თბილისი: მეცნიერება. 1992.
11. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ. თბილისი, 1984.
12. მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა, ბ. გიგინეიშვილისა და ელ. გიუნაშვილის გამოცემა. თბილისი. 1979.
13. სოკრატე სქოლასტიკოსი, საეკლესიო ისტორია, ძველბერძნულიდან თარგმნა, წინათქმა და შენიშვნები დაურთო ზურაბ ჯაშმა, თბილისი: ახალი ივერონი, 2012.
14. ქართლის ცხოვრება. ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი. 1955.
15. ყიფიანი, გურამ. „ბოლნისის სიონი (ტაძრის გეგმა და სამი უძველესი წარწერა),“ ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი N3 (2010): 715-787.
16. ჩიქოვანი, დავით. *აღმოსავლეთის ეკლესიის კრებათა ისტორია IV-V საუკუნეებში (კრებათა აქტები და სხვა მასალები).* თბილისი: კალმოსანი, 2019.
17. Bar Hebraeus, *The Ecclesiastical Chronicle*. English Translation, Translated by David Wilmshurst, Gorgias Press, 2015.
18. Baum, Wilhelm and Winkler, Dietmar Werner, *The Church of the East: A Concise History*, London and New York: Taylor & Francis e-Library, 2003.
19. Braun. Oscar, trans., Ausgewählte Akten persischer Märtyrer. Mit einem Anhang: München: J. Kösel, Kempten, 1915.
20. Braun. Oscar, trans., Das Buch der Synhados oder Synodicon Orientale. Amsterdam: Philo press. 1900.
21. Brock, Sebastian P. “A Martyr at the Sasanid Court Under Vahran II: Candida,” Analecta Bollandiana, Vol. 96. 167-81. 1978.

22. Brock, Sebastian P. „The Church of the East in the Sasanian Empire Up to the Sixth Century and Its absence form the counsils in the Roman Empire", Syriac Dialogue 1 (1994): 69-86.
23. Buck, Christopher, "The Universality of the Church of the East: How Persian was Persian Christianity." The Journal of the Assyrian Academic Society. Vol. 10 (1996): 54-95.
24. Burgess, R. W. "The Dates of the Martyrdom of Simeon bar Sabba'e and the 'Great Massacre". Analecta Bollandiana, Vol. 117. (1999): 9-47.
25. Barnes, Timothy D. "Constantine and the Christians of Persia." The Journal of Roman Studies 75, (1987): 126-136.
26. Bowman, Alan. The Cambridge Ancient History. Volume 12: The Crisis of Empire, AD 193-337, 2nd edition. Edited by Alan Bowman, Brasenose College, Oxford, Averil Cameron, Keble College, Oxford, Peter Garnsey, University of Cambridge. Cambridge University Press, 2008.
27. Chabot, Jean-Baptiste, Synodicon Orientale ou Recueil de Synodes Nestoriens, Paris: Imprimerie Nationale, 1902.
28. Cherian, Vilakuvelil Samuel. *The Growing Church (An Introduction to Indian Church History*). Kottayam: Divyabodhanam Publications, Orthodox Seminary, P. B. 98. 2007.
29. Chikovani, David. "The Synod of Mar Yahbalaha (AD 419/420) and its Significance for the History of the Church of Kartli." Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies. T. 30, (2020): 147-166.
30. Christensen, Artur. *L'Iran sous les Sassanides*. Copenhagen: Levin and Munksgaard, 1936.
31. Daryaee, Touraj. "Ardashir and the Sasanian's Rise to Power." Anabasis: Studia Classica et Orientalia 1 (2010): 237-256.
32. Daryaee, Touraj and Rezakhani, Khodadad. "The Sasanian Empire". In: King of the Seven Climes: A History of the Ancient Iranian World (3000 BCE – 651 CE). Edited by Daryaee, Touraj. 155-197. UCI Jordan Center for Persian Studies, 2017.
33. Decret, François. "Les conséquences sur le christianisme en Perse de l'affrontement des empires romain et sassanide: De Shâpûr I à Yazdgard I," Recherches augustiniennes 14, 91–152, 1979.
34. Dodgeon, Michael H.; Lieu, Samuel N. C., *The Roman Eastern Frontier and the Persian Wars (AD 226-363)*. London: Routledge. 2002.
35. Elisaeus Bishop of the Amadunians: The History of Vartan and of the battle of the Armenians: Containing an account of the religious wars between the Persians and Armenians. Translated from the Armenian by C. F. Neumann. London: Oriental Translation Fund, 1830.
36. Eusebius, Life of Constantine, Trans. Averil Cameron, Oxford: Clarendon Press, 1999.
37. Fortescue, Adrian, *The lesser eastern churches* . London : Catholic Truth Society, 1913.
38. Frye, Richard N. „The political history of Iran under the Sasanians". In The Cambridge History of Iran, Volume 3(1): The Seleucid, Parthian and Sasanian Periods. Ed. Ehsan Yarshater, 116-177. Cambridge: Cambridge University Press, 1983.
39. Garitte, Gerard, trans., La Narratio de rebus Armeniae: Par. Imprimerie Orientaliste L. Durbecq. 1952.

40. Garsoïan, Nina. "Secular jurisdiction over the Armenian church (fourth-seventh centuries)." Harvard Ukrainian Studies 7 (1983): 220–250.
41. Google. “Ghazar P'arpec'i's History of the Armenians“ Robert Bedrosian’s Homepage. New York, 1985. Accessed June 9, 2008. http://www.attalus.org/armenian/gpintro.htm
42. Herman, Geoffrey. “The Last Years of Yazdgird I and the Christians” in idem, ed. Jews, Christians and Zoroastrians: Religious Dynamics in a Sasanian Context, Judaism in Context 17, Gorgias Press, (2014): 67–90.
43. Histoire Nestorienne (Chronique de Séert), I partie, fasc.1. publiée par Addaï Scher . Graffin, R – Nau, F. Patrologia Orientalis. T. 4. Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs. Paris. 1908.
44. Histoire nestorienne : (chronique de Séert). I partie, fasc 2, publiée par Addaï Scher . René Graffin, François Nau. Patrologia Orientalis. T.5. Paris: Firmin-Didot et C, Imprimeurs-Editeurs,1910.
45. Kia, Mehrdad. The Persian Empire: A Historical Encyclopedia [2 volume]: A Historical Encyclopedia, ABC-CLIO, 2016.
46. Koltun-Fromm, Naomi. *A Jewish-Christian Conversation in Fourth Century Mesopotamia A Reconstructed Conversation*. Gorgias Press, 2011.
47. Kosiński, Rafał. The date of the Martyrdom of Simeon bar Sabba’e and the persecution of Christians in Persia under Shapur II. “Zeitschrift für Antikes Christentum” 2017; 21(3): 496–519.
48. Labourt, Jérôme. *Le Christianisme dans l’empire perse sous la dynastie Sassanide (224–632)*, Paris: Librairie Victor Lecoffre, 1904.
49. Lenski, Noel. Failure of Empire: Valens and the Roman State in the Fourth Century A.D. University of California Press. 2002.
50. Marciak, Mishal, *Sophene, Gordyene, and Adiabene, Three Regna Minora of Northern Mesopotamia Between East and West*, Leiden: Brill, 2017.
51. Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria ex codibus Vaticanis edidit ac Latine reddidit Henricus Gismondi, pars. I: Amri et Slibae textus versio Latina .Rome: excudebat C. de Luigi, 1897.
52. Maris, Amri, et Salibae: De Patriarchis Nestorianorum Commentaria ex codibus Vaticanis edidit ac Latine reddidit Henricus Gismondi, pars.II. Maris textus arabicus et versio Latina. Rome: excudebat C. de Luigi, 1899.
53. Metselaar-Jongens, Marijke. Defining Christ. The Church of the East and Nascent Islam PhD. Diss, Vrije University, 2016.
54. McDonough, Scott John. “Power by Negotiation: Institutional Reform in the Fifth Century Sasanian Empire”. PhD diss., University of California, 2005.
55. McDonough, Scott. “A Second Constantine?: The Sasanian King Yazdgard in Christian History and Historiography.” Journal of Late Antiquity 1 (2008): 127-140.
56. MSIHA-ZKHA, texte et traduction Par Alphonse Mingana. Sources Syriaques, vol. 1. Leipzig: Otto Harrassowitz, 1907.
57. Neusner, Jacob. “Babylonian Jewry and Shapur II’s Persecution of Christianity from 339 to 379 A.D.” HUCA 43 (1979): 77-102.
58. Payne, Richard E. *A State of Mixture: Christians, Zoroastrians, and Iranian Political Culture in Late Antiquity.* University of California Press, 2015.

59. Plontke-Lüning, Annegret. " ‘Late Antique and Early Christian Art and Architecture in Georgia". Winter School: Ancient World and Caucasus. 6-11 March 2017.
60. Rassam, Suha, *Christianity in Iraq. Its Orogins and Development to the Present Day*. Leominster: Gracewing, 2006.
61. Schaff, Philip and Wace, Henry. Trans., A Select library of Nicene and post-Nicene fathers of the Christian church. Second series.. Volume XIII. Part II. Gregory the Great. Ephraim Syrus. Aphrahat. New York, The Christian literature company. 1898.
62. Smith, Kyle. *Constantine and the Captive Christians of Persia: Martyrdom and Religious Identity in Late Antiquity*. University of California Press, 2016.
63. Smith, Kyle. *The Martyrdom and History of Blessed Simeon Bar Sabba'e (Persian Martyr Acts in Syriac: Text and Translation).* Gorgias Pr Llc. 2014.
64. Smith, R. Payne. trans. The third part of The ecclesiastical history of John, Bishop of Ephesus. Oxford, Univ. Press. 1860.
65. Sprengling, Martin. Third Century Iran: Sapor and Kartir. Chicago: University of Chicago, 1953.
66. Strong, Justin David. “Candida: An Ante-Nicene Martyr in Persia”, Journal of Early Christian Studies, Vol. 23. 389-412, 2015.
67. Sykes, Percy, *A history of Persia*, London: Macmillan, 1915.
68. Widengren, Geo. “The Nestorian Church in Sasanian and Early Post-Sasanian Iran.” in Incontro di religioni in Asia tra il III e il X secolo d.C. Ed. Lionello Lanciotti, 1-30. Firenze: Leo S. Olschki Editore, 1984.
69. Wigram, William Ainger. *An introduction to the history of the Assyrian Church, or, The Church of the Sassanid Persian Empire, 100–640 A.D.* London: Society for promoting Christian knowledge; New York, E.S. Gorham, 1910.
70. Williams, A.V “Zoroastrians and Christians in Sasanian Iran”, Bulletin of the John Rylands Library Manchester, vol. 78, no. 3, (1996): 37–53.
71. Yonge, Charles Duke, trans., The Roman history of Ammianus Marcellinus: during the reigns of the emperors Constantius, Julian, Jovianus, Valentinian, and Valens. London: George Bell & sons, York street. Covent Garden, 1887.
72. Yücel, Muhammet. “Religion, Conflict and Continuity in the Early Sasanian Period.” HISTORIA I ŚWIAT N 10 (2021): 43-69.
73. Фавстос Бузанд, История Армении. Пер. с др.-арм. и коммент. М. А. Геворгяна. Под ред. С. Т. Еремяна. Вступит. ст. Л. С. Хачикяна. Ереван: Академия Наук Армянской ССР. 1953.
74. Փավստոս Բուզանդ, Պատմություն Հայոց, Երևան : Հայաստան հրատարակչություն, 1968.